საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 11 აგვისტო. 2021 წ. №167 (9286) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

900

1121

2021

ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით ყველა წაგებულ ომის მოგებას!..

მუხრან მაჭავარიანი

ღმერთკაცი

ხელში გელათი უჭირავს ერთში,
წიგნი უჭირავს მეორე ხელში.
მეფეა
კახთა,
სომეხთა,
რანთა,
აფხაზთა,
სვანთა
და უდიმართა.

ტანზე ქრისტესი აცვია კვართი,
გადაჰყავს თევზნი რიონში მტკვართით.
მზეია კახთა,
მთიები — რანთა,
ლიფლიფი —
სვანთა და უდიმართა.

მხარზე ვეება გაუდევს ლოდი
და მოდის —
თითქოს უტვირთოდ მოდის! —
მეფენი შვიდნი
ვინც პურად დასხნა,
საზღვართა გარე
ვინც მტერნი გასხნა,
იმერთა წყალთა
ვინც თევზნი შთასხნა,
ვინც
ვერ ისვენებს საფლავში ახლა...

1972

ილია ჭავჭავაძე

უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ხომ სხვა არიან-რა, თუ არა ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი... დავით აღმაშენებელმა ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენ ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმის ღვაწლი, იმისი სამსახური უფრო იყოს...

დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავისი დიდბუნებოვანი კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამასთან, შემწყნარებელი სხვისი მაშინ, როცა იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არ ჰზოგავდა... ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან?!

1888 წ. 26 იანვარი

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს წინ კიდევ მრავალი დიდგორი აქვს მოსაგები!

დღეს „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს საქართველოში, ჩვენ შეგვიძლია მართვა, პასუხისმგებლობის აღება თითოეულ მოქალაქეზე, ქვეყნისა და ხალხის ბედზე

ახლა დავასრულეთ მუშაობა გრძელვადიანი განვითარების გეგმაზე, ხედვაზე, ჩვენ ზუსტად და მკაფიოდ ვიცით, როგორ უნდა განვავითაროთ ქვეყანა, სოფლის მეურნეობა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მარნეულში, „ქართული ოცნების“ მარნეულის მერობის კანდიდატის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს საქართველოში. „ძალიან ბევრი შეიძლება, ვისაუბროთ პრობლემებზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არის, მაგალითად, 3 000 სოფელს არ მიეწოდება ხარისხიანი წყალი, სოფლის მეურნეობის მიწების დამუშავება, იქნება ეს წყალგაყვანილობა, გაზიფიცირება, თუ ა.შ. გზების გაყვანა — ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი. ყველა მიმართულებით, ყველა პარამეტრით, მაქსიმალური შედეგი დავდეთ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, კიდევ მეტი უნდა გავაკეთოთ ყველამ ერთად. ამისთვის საჭიროა მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი, გარანტირებული იყოს გრძელვადიანი, ძლიერი, სწრაფი განვითარება. ამას შეძლებს ერთადერთი სტაბილური გუნდი, ეს არის „ქართული ოცნება“. მე არ ვამბობ, რომ ჩვენ ვართ უშეცდომონი და იდეალურები, ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენ ამას არასდროს ვიტყვით, მაგრამ დღეს, **„ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს საქართველოში. ჩვენ შეგვიძლია მართვა, პასუხისმგებლობის აღება ჩვენს თითოეულ მოქალაქეზე, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედზე“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მთავრობის მეთაურის თქმით, ყველაფრის საფუძველი მშვიდობა და სტაბილურობაა, რის გარეშეც არ განვითარდება ქვეყანა და მუდმივი დესტაბილიზაცია და ქაოსი იქნება.

„მინდა, კიდევ ერთხელ ჩემი გამოსვლა დავიწყო მადლობით. მადლობა თქვენი ერთგული მხარდაჭერისთვის, ჩვენი გუნდისადმი, პარტიისადმი. სწორედ თქვენი მხარდაჭერით, ჩვენმა ძლიერმა გუნდმა, ჩვენმა პარტიამ ბოლო 7 არჩევნებში გაიმარჯვა დამაჯერებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამის შედეგად, ჩემო ძმებო, ჩემო მეგობრებო, ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი გახდა ხანგრძლივი სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარება. მოდით, ვთქვათ გულწრფელად, ერთი წამით დავფიქრდეთ, როდის ყოფილა ასეთ ხანგრძლივი სტაბილური და მშვიდობიანი პერიოდი ჩვენს ქვეყანაში? გავიხსენოთ 90-იანი წლების დასაწყისი. როგორ მოვექეცით ჩვენს თავს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს როგორ მოვექეცით. გვქონდა ომები, სამოქალაქო დაპირისპირება, ძმათა შორის მკვლელობა — ათასი უბედურება და დესტაბილიზაცია გამოსცადა ჩვენმა ქვეყანამ. ეს არის ერთადერთი ხანგრძლივი, 8-წლიანი პერიოდი, როცა ჩვენს ქვეყანას საბედნიეროდ, არ ჰქონია ომი. ანუ ჩვენ, მოქალაქეებს გაგვიხდა სანატრელი და საოცნებო მშვიდობა და სტაბილურობა. ყველაფრის საწყისი, საფუძველი, საძირკველი არის მშვიდობა და სტაბილურობა. მშვიდობის გარეშე, მეგობრებო, არ განვითარდება არც ქვეყანა, არც ქალაქი, არც რაიონი, არც სოფელი. იქნება მუდმივი დესტაბილიზაცია და ქაოსი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თბილისელები თავიანთი ქალაქით იამაყებენ!



დედაქალაქის მერობის კანდიდატის კახა კალაძის განცხადებით, 2021 წლის თვითმართველობის არჩევნებში გამარჯვების მოპოვების იმედს მოსახლეობის ის განწყობა და დამოკიდებულება აძლევს, რასაც ყოველდღიურად აწყდება. როგორც კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, პირადად ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში თბილისში არსებულ გამოწვევებსა პრობლემებს ღირსეულად უპასუხოს.

„ხედავთ, რომ უამრავ ადამიანთან გვაქვს შეხვედრა, კომუნიკაცია, ვახორციელებთ პროექტებს. ეს განწყობა და დამოკიდებულება მაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ჩვენ ვიქნებით ის გუნდი, რომელსაც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მოგვიწევს ქალაქზე ზრუნვა. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა ჩემთვის. ძალიან კარგად მაქვს გათვითცნობიერებული, თუ რას ნიშნავს იყო ქალაქის მერი და 4 წლის შემდეგ კიდევ უფრო კარგად ვიცი, რას ნიშნავს გამოცდილება და რამხელა პასუხისმგებლობაა ამ ქალაქის ხელმძღვანელობა. გულწრფელად გეუბნებით, ყველაფერს გავაკეთებ, 24-საათიანი მუშაობით, რომ იმ გამოწვევებს, პრობლემებს, რომელიც ამ ქალაქში წლებია არსებობს, ღირსეულად ვუპასუხოთ, ისეთი პროექტები განვახორციელოთ, რომ თბილისში მცხოვრებმა ნებისმიერმა ადამიანმა, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, იამაყოს“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

ამასთან, მან ისაუბრა საარჩევნო ბანერებზე და ოპოზიციის ბრალდებაზე, რომ დედაქალაქის მერობის კანდიდატის საარჩევნო ბანერების განთავსებაზე მილიონი ლარი დაიხარჯა. კახა კალაძის თქმით, საარჩევნო კამპანიის ჩატარება გულისხმობს, როგორც მოსახლეობასთან შეხვედრებს, ასევე ბანერების განთავსებას.

„საარჩევნო კამპანია არის იმისთვის, რომ ყველაფერი გამოიყენო — მათ შორის, ბანერების გაკვრა, კომუნიკაცია ხალხთან და ყველა რესურსის ამოქმედება, რომ მოსახლეობას აუხსნა, რატომ უნდა გენდოს და იყოს შენი მხარდამჭერი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. არ ჩავატარო საარჩევნო კამპანია?! მგონი, ამაზე აპელირება სწორი არაა. სანამ კამპანია დაიწყებოდა, ჩემს ბანერს ვერ ნახავდით ქუჩაში“, — განაცხადა კახა კალაძემ.

განახლებული სკუდიერის ქუჩა

დედაქალაქის მერი კახა კალაძე თბილისის განვითარების ფონდის დირექტორ ლევან ჯღარკავასთან ერთად **ჯოვანი სკუდიერის ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, ასევე, მხატვრების პავილიონების მოწყობის მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.**

თბილისის განვითარების ფონდი სკუდიერის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობის, ასევე, მხატვრების პავილიონების მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებულია არსებული საყრდენი კედლის გამაგრება, რესტავრაცია და მოპირკეთება, გამწვანების თარგების მოწყობა, დეკორატიული სანათების მონტაჟი; ახალი გარე განათების ბოძებისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები, სარწყავი სისტემის მოწყობა; უსაფრთხოების ქსელისა და ვიდეოსამეთვალყურეო კამერების სისტემების მონტაჟი, მხატვრებისთვის განკუთვნილი სავაჭრო სტენდების მოწყობა; საფეხმავლო სივრცის კეთილმოწყობა.

სამუშაოების ღირებულება 1 349 916 ლარს შეადგენს და მისი დასრულება მიმდინარე წლის 20 სექტემბრისთვის იგეგმება.

ამერიკელი გენერალი ნაციონალებს ბრალს სდებს

„საძართველოში ბოლოდროინდელმა შიდა მოვლენებმა არსებული პოლიტიკური პოლარიზაციისა და არასტაბილურობის ისედაც მყიფე მდგომარეობა გაამძაფრა. პოლარიზაცია საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ფუძეა. 19 აპრილის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ოპოზიციას შორის მიზნად ისახავდა მხარეებს შორის ნდობის დამყარებასა და პოლარიზაციის დაძლევას. მისი გაუქმება სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბრიუსელისა და ვაშინგტონის მოწოდებების მიუხედავად, მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ უარი თქვა ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რითაც ჭეშმარიტი შერიგებისკენ მიმავალი პროცესი შეაჩერა“, — აღნიშნავს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის ყოფილი მეთაური.

„დესტაბილიზაცია საშიშ გზას ქმნის, რომელსაც კრემლი გამოიყენებს. ამ მიზნით, საქართველოს მომავალი მუნიციპალური არჩევნები ადგილობრივ წარმომადგენლობას უნდა ეფუძნებოდეს, რაც დემოკრატიის ხერხემალია. საშინაო პრობლემების მიუხედავად, ეს მნიშვნელოვანი მომენტია საქართველოსთვის. ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა დავადასტუროთ ჩვენი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ერთგულება და პარტნიორობა საქართველოს მიმართ, როგორც სოლიდარობის სიმბოლო. უსაფრთხოების და დემოკრატიისათვის ერთობლივი მუშაობა სარგებელს მოუტანს საქართველოს, ისევე როგორც შეერთებულ შტატებსა და ევროპას, რაც მიზნად ისახავს ძლიერი, საიმედო და სანდო ურთიერთობების განვითარებას შავი ზღვის რეგიონის ამ მნიშვნელოვან პარტნიორთან“, — განაცხადა ფილიპ ბრიდლავმა.

სამშობლოს ხერთვისის ციხიდან შეპფიცეს

83-მა რეკრუტმა სამხედრო ფიცი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მრავალსაუკუნოვანი შეუპოვარი ბრძოლებით ცნობილ ციხესიმაგრეზე — ხერთვისის ციხეზე ღვთისა და ერის წინაშე, ანთებული ჩირაღდნებისა და არასტანდარტულად განლაგებული დროშების ფონზე დადეს და თავდაცვის ძალების დიდ ოჯახსშეურთდნენ. **დღეიდან ისინი საკონტრაქტო-სამხედრო სამსახურს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობებში გაივლიან.**

ფიცის დადებამდე, მათ საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) რვაკვირიანი პროგრამა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალქალაქში მდებარე უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის ახალ ცენტრში გაიარეს, სადაც სამწყობრო, საცეცხლე, სამედიცინო, ტაქტიკური მომზადება უტარდებოდათ. თანამედროვე სტანდარტების, საწყისი საბრძოლო მომზადების ახალი ცენტრი ახალქალაქში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში, 2020 წლის სექტემბერში გაიხსნა. პირად შემადგენლობას მნიშვნელოვანი დღე წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალმა, პოლკოვნიკმა ზურაბ ხვიჩიამ მიულოცა და საქართველოს წინაშე ღირსეული სამსახური უსურვა.

„დიდგორის“ მედალი ღირსეულთ

უწყებრივი მედლისა და სამკერდე ნიშნების ნიმუშებს კიდევ ერთი საიუბილეო მედალი — **„დიდგორი-900“ დაემატა. შესაბამის ბრძანებას თავდაცვის მინისტრმა ხელი უკვე მოაწერა.**

საიუბილეო მედლით დიდგორის ბრძოლის 900 წლის იუბილეს აღსანიშნავად ჯილდოვდებიან საქართველოსა და უცხო ქვეყნების მოქალაქეები საქართველოს სამხედრო აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული დამსახურებისთვის. მედლით „დიდგორი-900“ საქართველოსა და უცხო ქვეყნების მოქალაქეებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით აჯილდოებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მეკავშირე ოფიცერი უწყებრივი მედლით დააჯილდოვეს

ნატოს მეკავშირე ოფიცერმა თავისი მისია საქართველოში დაასრულა. **საქართველოსა და ნატოს შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა ნატოს უკვე ყოფილი მეკავშირე ოფიცერი, პოლკოვნიკი გინტარას ბაგდონასი უწყებრივი მედლით — „გენერალი კვინიტაძე“ დააჯილდოვა და საქართველოში წარმატებული მისიისთვის მადლობა გადაუხადა.**

დღესვე თავდაცვის ძალების მეთაურს ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ მაროსარია პუგლისმა ნატოს ახალი მეკავშირე ოფიცერი, პოლკოვნიკი რუსენაბი დინოღლუ წარუდგინა. ღონისძიებას თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეები, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე და ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი, ასევე უწყების სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

კრიზისი უნდა დავძლიოთ!



პეტიცია მრნობის წინააღმდეგ!

...თქვენ მხოლოდ ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებთ, მაგრამ რა ქნას ჩვენმა ხალხმა – თქვენგან და რუსეთისგან დასაცავად ვეძებოთ ახალი მოკავშირე?!

„ქართული ოცნების“ მიერ შარლ მიშელის დოკუმენტიდან გამოსვლამ ოპოზიციურ სპექტრში დიდი არეულობა გამოიწვია. საპარლამენტო ოპოზიცია დაბნეულია, მათ მიერ უკვე გაწერილი გეგმა წყალში ჩაიყარა, ახლის შედგენაც დიდ სირთულეს წარმოადგენს, იქიდან გამომდინარე, რომ სახელისუფლებო გუნდის შემდგომი ნაბიჯების გათვლა რთულია. საქმეს ართულებს უცხოელი პარტნიორების პოზიციაც, საერთაშორისო გამოხმაურება სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც ოპოზიცია ელოდა. ოპოზიციას და მათთან ასოცირებულ მედიას ისღა დარჩენია, საზოგადოებაში განავითაროს აზრი – ხომ არ დაუბრუნდება ხელისუფლება მიშელის დოკუმენტს? ამ კითხვაზე ხელისუფლების პასუხი ერთმნიშვნელოვანია – სახელისუფლებო გუნდმა ქვეყნის განვითარების ათწლიან გეგმასთან ერთად, საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. ამას დაემატა საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა, სადაც ოპოზიციის რეიტინგი არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება.

განსხვავებული მოსაზრება აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციაში „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ შარლ მიშელის ხელშეკრულებიდან გამოსვლა ხელისუფლებამ ცოტათი დააგვიანა კიდეც, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი ქვეყნის სუვერენიტეტს ლახავდა.

„შარლ მიშელის ცალმხრივი ხელშეკრულებიდან გამოსვლით ხელისუფლებამ, როგორც იქნა, მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება, რომელიც ამყარებს როგორც პროცესების კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევას, ისე ქვეყნის სუვერენიტეტს. ამ ფონზე ნეგატიური შეფასებები, მით უფრო მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლის მხრიდან, ხელს არ უწყობს სწორი აღქმების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრებმა, უცხოელი კოლეგების მხარდაჭერით, მივმართეთ ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ხელისუფლებას, რათა დაიცვან ობიექტურობა და მიუკერძოებლობა საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესების შეფასებისას. ჩვენს მიმართვაში მითითებულია იმ რისკის რეალურობაზე, რომ ასეთი შეფასებისა და ანალიზის დროს, ბალანსის დაუცველობა და საქართველოს მოქალაქეთა მენტალიტეტისათვის მიუღებელი ღირებულებების დამკვიდრების კატეგორიული მოთხოვნა, ნოყიერ ნიადაგს ქმნის ანტიდასავლური განწყობილებების გაღვივებისთვის. ეს კი, არ შედის არც ჩვენი ქვეყნის და არც ჩვენი დასავლელი პარტნიორების ინტერესებში. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ჩვენს ბუნებრივ მოკავშირედ ევროპა-ამერიკა დავიგულეთ და ბოლომდე მივენდეთ მათ. გულუბრყვილოდ დავიჯერეთ, რომ ისინი მომაკვდავი იმპერიული გველეშაპის კუდის მოქნევისას კედლად აღიმართებოდნენ და ჩვენს თავს არავის დაჩაგვრინებდნენ. მალე დავინახეთ, რომ არც ერთი ქვეყანა ჩვენს ინტერესებს თავის ინტერესებზე წინ არ დააყენებდა (ან რატომ უნდა დაეყენებინა?). ეს ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის დაკარგვის ფასად დაგვიჯდა. შემდგომში უფრო ფრთხილად, მაგრამ ერთგულად ვასრულებდით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების წინაშე აღებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ ვალდებულებას, იქნებოდა ეს კანონმდებლობის ცვლილებები, საერთაშორისო ფორუმებზე პოზიციების დადასტურება თუ ქართველი მეომრების მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში. ამას არავის ვამადლით, რადგან ჩვენი არჩევანია, როგორმე დაცული ვიყოთ რუსეთის აგრესიული შემოტევებისგან. მიუხედავად ამისა, ამდენი ხნის მანძილზე, ვხედავთ როგორ გაურბიხართ ჩვენი დაცვის პასუხისმგებლობას. ამიტომაც არ გვიშვებთ ნატოში შემავალ იმ კარებში, რომელზეც მუდმივად გვეუბნებით, რომ ღიაა. გვესმის, რომ ერიდებით რუსეთთან კონფრონტაციას, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, როდესაც სწორედ თავისუფლებისკენ და თქვენკენ აღებული გეზის გამო გვაჭრის რუსეთი ტერიტორიებს?

ხომ ხედავთ, რომ რუსეთს თქვენგან ყოველ ჯერზე გამოთქმული მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთებები ვერ აჩერებს? თქვენ იმ ხალხის ერთგულ მოკავშირეებად იქეცით, ვისაც ჩვენი ერის სულიერებასა და ცხოვრების წესზე მიაქვს იერიში. თქვენი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ჩვენთან უხეში ფორმებით ცდილობთ და გვემუქრებით: თუ თქვენს მითითებებს არ შევასრულებთ, სანქციებს დაგვიწესებთ, თქვენი ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულით აღარ დაგვეხმარებით და შიმშილით დაგვხოცავთ. გგონიათ, ასეთი პოზიციებით გააძლიერებთ პროდასავლურ განწყობებს?

ჩვენ ვხედავთ, რომ რაც დასაშვებია სხვა ქვეყნებისთვის, ის დაუშვებლად ცხადდება საქართველოსთვის. თუ აშშ-ს საკანონმდებლო ორგანოში შეჭრის შედეგად დაკავებული ასეულობით ადამიანის სისხლისსამართლებრივი დევნა და სასტიკი სასჯელები ბუნებრივი მოვლენაა, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში შეჭრისათვის დაკავებულები პოლიტიკურ პატიმრებად ინათლებიან, თუ ასეთი შეჭრის დროს აშშ-ში რამდენიმე ადამიანის არათუ დაშავება, არამედ მკვლელობაც კი კანონის აღსრულებად ითვლება, საქართველოსთვის რამდენიმე ადამიანის დაზიანება პოლიციელთა მხრიდან კანონის დარღვევად აღიქმება და წინა პლანზე გამოდის პოლიციელთა დასჯის მოთხოვნა, რასაც თქვენც უბამთ მხარს.

თქვენ ვერასოდეს მოითხოვთ მოკავშირე საუდის არაბეთში ან სხვა ქვეყნებში გეი-აღლუმებისა და გეი-ქორწინებების დაშვებას, ჩვენთან ამის მიუღებლობაზე ისეთი რეაქცია გაქვთ, ლამის ყველა იმ ხალხის დაპატიმრება მოითხოვოთ, ვინც ამას სიტყვითაც კი ეწინააღმდეგება. ასეთი კი საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა. რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქე უნდა დასაჯოს კანონმა, მაგრამ, როდესაც ჩვენგან მოითხოვთ 5 ივლისის მოქალაქეების დასჯას და მეორე მხრივ, მოითხოვთ 2019 წლის 20 ივნისის პოლიციელებზე მოქალაქეების გათავისუფლებას, როგორ უნდა დაგიჯეროთ, რომ მხოლოდ მაღალი სტანდარტები და სამართლიანობა გაწუხებთ და არა სხვა ინტერესები?

ჩვენ არ გვინდა, ქართველი ხალხი თქვენ დამპყრობლებად აღგიქვამდეთ, მაგრამ მაშინ რითი ავხსნათ თქვენი ასეთი დაჟინებული და უკომპრომისო მოთხოვნა, რომ მაინცდამაინც ჰომოსექსუალური და ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები ერთ დონეზე დავაყენოთ, ერთნაირად მიმზიდველად და მისაბაძად დავსახოთ და ჰომოსექსუალური ვნებების წასახალისებლად აუცილებლად ლგბტ პრაიდები ჩავატაროთ? და თუ ამას არ გავაკეთებთ, ფულადი დახმარების შეწყვეტით უნდა დაგვსაჯოთ?

ჩვენ მხოლოდ ის გვაწუხებს, რომ ასეთი ძმედებებით თქვენ მხოლოდ ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებთ და პრორუსულ განწყობებს აძლიერებთ. ჩვენ კი აღარ გვინდა რუსეთისკენ გახედვა, მაგრამ რა ქნას ჩვენმა ხალხმა ასეთ ვითარებაში, ერთდროულად თქვენგან და რუსეთისგან დასაცავად ვეძებოთ ახალი მოკავშირე? და, რადგან ბუნებაში ვერ გამოჩნდება ასეთი ძალა, გაჩნდება საქართველოში. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენდამი ნდობის შესუსტება ავტომატურად ნიშნავს რუსული ორიენტაციის გაძლიერებას?

* * *

ჩვენი თხოვნაა, როცა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას (ანუ ქვეყანას) დირექტორების პოზიციებიდან დაუწყებთ თითების თუ მუშტების ქნევას, გაითვალისწინოთ ზემოხსენებული. ჩვენ დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ!“, – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ პეტიციაში, რომელსაც ოთხასამდე მხარდამჭერის ხელმოწერა აქვს და ეს ციფრი ყოველდღიურად იზრდება.

* * *

ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** ამბობს, რომ აღნიშნული შეთანხმება იყო ანტიკონსტიტუციური და საერთაშორისო პარტნიორების ზეწოლა ხელყოფდა ქვეყნის სუვერენიტეტს.

ნანა კაკაბაძე: ჩვენ მოვუწოდებდით, რომ ასეთ შეთანხმებას ქვეყანა არ უნდა მიერთებოდა. სამწუხაროდ, ხელისუფლება ცალმხრივად ასრულებდა ამ ვალდებულებებს. კარგია, რომ ხელისუფლება გამოვიდა ამ შეთანხმებიდან. ჩვენი პეტიცია გაეგზავნა ამერიკის შერთებულ შტატებს, სახელმწიფო დეპარტამენტს, თეთრს სახლს, კონგრესმენებს. ჩვენს პეტიციას შემოუერთდნენ საბჭოთა პერიოდის დისიდენტები და იმედი მაქვს, რომ იმ ადამიანების ხმა, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის დროს დამოუკიდებლობისათვის, იქნება შესმენილი და ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი ზეწოლები ჩვენს ქვეყანაზე არ მოხდება. ასევე, ხელისუფლება აღარ შეუერთდება იმგვარ შეთანხმებას, რომელიც ხელყოფს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

– იქნებ დააკონკრეტოთ, რატომ იყო ეს შეთანხმება ანტიკონსტიტუციური?

– კონსტიტუცია მოიაზრებს მხოლოდ ორ მომენტს, რა დროსაც არის შესაძლებელი ვადამდელი არჩევნების ჩატარება. ეს ხდება, როდესაც პარლამენტი ვერ ამტკიცებს ბიუჯეტს და ეს ხდება სამთავრობო კრიზისის დროს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვადამდელი არჩევნების ჩატარება, არადა ხელშეკრულებაში პირდაპირ იყო დათქმა 43%-იან ბარიერთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში კონსტიტუციასთან. ეს იყო ხელისუფლების მხრიდან ძალიან დიდი შეცდომა, როდესაც ეს ფაქტორი არ გაითვალისწინა. ასეთი კარნახი და დიქტატი, არის პირდაპირი ჩარევა ქვეყნის შიდა პოლიტიკაში, ეს კი არის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შელახვა.

– რაც შეეხება ხელისუფლების გამოსვლას ამ ხელშეკრულებიდან, რა იყო ამ შემთხვევაში განმაპირობებელი ფაქტორი, ის, რომ გვიან მიხვდა ხელისუფლება, რომ კონსტიტუციასთან არათავსებადი პუნქტები იდო მიშელის დოკუმენტში თუ ის, რომ არჩევნების შედეგები, რასაც ხელისუფლება მიიღებდა, პირდაპირ კავშირში იქნებოდა ვადამდელ არჩევნებთან?

– ვფიქრობ, რომ არჩილ თალაკვაძის გადაყენება, პირდაპირ იყო იმისი ნიშანი, რომ ხელისუფლებამ გააცნობიერა საკუთარი არასწორი ნაბიჯები. კრიზისიდან გამოსვლის ეგიდით, ისინი კიდევ უფრო დიდ კრიზისში შევიდნენ ამ ხელმოწერით. ჩემი აზრით, თალაკვაძის წასვლაც სწორედ ამას უკავშირდებოდა. არც ერთ ხელისუფლებას არ ეპატიება კონსტიტუციის უპატივცემლობა და ასევე უპატიებელია ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფა. ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს ჩვენი დასავლელი პარტნიორები, რომლებიც მუდმივად ახორციელებდნენ ზეწოლას ხელისუფლებაზე. ჩვენ მზად ვიყავით, ეს გაგვესაჩივრებინა საკონსტიტუციო სასამართლოში, თუკი ამ დოკუმენტის საფუძველზე დაინიშნებოდა არჩევნები და კიდეც მოვიგებდით ამ სარჩელს. ვერც ხელისუფლება შექმნიდა ვერანაირ იურიდიულ დოკუმენტს, რომ მე ვერ გადავლახე 43%-იანი ბარიერი და ამიტომაც ვნიშნავ რიგგარეშე არჩევნებსო. ეს რომ გაეკეთებინა ხელისუფლებას, ხელოვნურად უნდა გამოეწვია ორიდან რომელიმე კრიზისი და ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ხარ ჩვეულებრივი მონა, რათა გაამართლო ზეწოლები დასავლეთის მხრიდან.

შორენა გონგლაძე

„ნარჩენების რევოლუციიდან“ – „სამი თითის ბუნტამდე“...

ნიკა მელია, ლევან ხაბეიშვილი, ნიკა გვარამია იმ ღამეს ნაგავს გააყოლეს!

ფაქტი – „თბილსერვისის“ თანამშრომლები გაიფიცნენ.

გამოხატვა – კონსტიტუციური, მოთხოვნა – მტკივნეული და ერთი შეხედვით, სამართლიანი.

შედეგი – დედაქალაქიდან ნარჩენების გატანა შეფერხდა!

პროტესტი თითქმის ერთი დღე გაგრძელდა და ამ ერთ დღეში ქალაქში სამი დღის სამყოფი ნაგავი დაგროვდა. აქციაზე პრეტენზიების პარალელურად, მუქარაც გაისმა. ერთმა მონაწილემ – „ყელს გამოვიჭრი აქ, მოვიდეს კალაძე და მითხრას რატომაა უკმაყოფილო“. მოკლედ, ვითარება დამძიმდა და „ნარჩენების რევოლუციის“ მოსაწყობად ნიადაგი ფაქტობრივად, გამზადდა, თუმცა, აქციის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა, მას შემდეგ რაც შეხვდნენ და ვითარება აუხსნეს, გაფიცვა შეწყვიტა. ადამიანის უფლებების დაცვის ეგიდით ქუჩაში გამოსულთა მეორე ნაწილმა, რომელიც აქციის გაგრძელებაზე ოცნებობდა, ურჩი კოლეგების დაბულინგება დაიწყო. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და ალბათ, შეესაბამისი ორგანოები გამოძიებას დაიწყებენ. მით უმეტეს, ბულინგის შესახებ განცხადება თბილისის მერმა გააკეთა. ერთი დღით ქალაქიდან ნარჩენების არგატანამ ბუნებრივი პრობლემები წარმოქმნა. სიცხემ ლპობა დააჩქარა და ჰაერი უსიამოვნო სუნით გაიჟღინთა.

აქციის მონაწილეებთან შეხვედრის შემდეგ ცნობილი ხდება, რომ თბილისის მერი ღამით ნარჩენების გატანაში მიიღებს მონაწილეობას. აქედან დაიწყო „თავდავიწყება“. ნიკა მელიამ დიღომში, ჟურნალისტებთან ერთად და ნაგვის ურნის წინ აკეთებს განცხადებას: „სირცხვილია. იქ, სადაც ეპიდემია მძვინვარებს, ყველაფერს ემატება, კვლავ, პაპანაქება სიცხეში გაუსაძლისი ვითარება. ხომ გრძნობთ ახლა, რომ ყარს აქაურობა. ახლა ჩვენ ვართ დიდ დიღომში აი, ამ ნაგვის გამო და მთელ თბილისში არის ეს ვითარება. როგორც უნდათ, რანაირადაც უნდათ“ შარშან კამპანიის ფარგლებში რომ ახეხინებდნენ, იგივე თბილისრესის თანამშრომლებს, ვითომ ეპიდემიას ებრძოდნენ. აი, ეხლა გამოვიდეს ბატონი კალაძე და მისი მოადგილეები კაბინეტებიდან, ეს პრობლემა თბილისელებს გადაუწყვიტონ და ხვალვე პირობა მისცენ თანამშრომლებს, რომ მოუმატებენ ხელფასს და მეორე, სწრაფადვე უთხრან როდის ჩააცმევენ ზაფხულის ტანსაცმელს საკუთარ თანამშრომლებს“.

მელიას შემეგ საქმეში ჟურნალისტებთან ერთად ლევან ხაბეიშვილი ერთვება, თუმცა „ნაცების“ მერობის კანდიდატისაგან განსხვავებით ის იქ მივიდა, საიდანაც კალაძეს თანამშრომლებთან ერთად ნარჩენები გაჰქონდა. ასეთ ვითარებაში ხაბეიშვილი თბილისის მერს „თბილსერვისის“ თანამშრომლებისათვის ხელფასის მომატებას სთხოვს. ტელევიზიით გავრცელებულ კადრებში კარგად ისმის, როგორ ეუბნებიან ხაბეიშვილს – ნასვამი ხარ და წადი, დაგვტოვე. ხაბეიშვილი ამას არ აპროტესტებს და აკეთებს განცხადებას: „მეეზოვეს 400-500 ლარი აქვს ანაზღაურება და ამასობაში დედაქალაქის მერიაში არიან ჩინოვნიკები, რომლებმაც თანამდებობაზე ყოფნის დროს მილიონობით ლარის ქონება დააგროვეს. მართალია, სწყინთ და ბრაზობენ ამას რომ ახსენებ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. დეკლარაცია შეუძლია ნებისმიერს გადაამოწმოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანებს შეექმნათ ნორმალური პირობები, საცხოვრებელი, მათ შორის, იმიტომ რომ მათ სჭირდებათ ანაზღაურების გაზრდა. მაინტერესებდა, მერს ვკითხე, ცოტა გაბრაზდა. რაც მთავარია მომავალი წლიდანო, მაგრამ მომავალი წლიდან მას ბიუჯეტთან საქმე აღარ ექნება“.

პარალელურად, სოციალურ ქსელში ერთ-ერთი მომხმარებლის „ინფორმაცია“ გავრცელდა: „არაპროფესიონალები წაუყვანია კალაძეს დასუფთავებაზე და ვინმე კონტროლიორს გლდანში 3 თითი მოუჭრია მანქანაზე. „მეტი თავისუფლება ყველა უბანს“ სხვებიც წაყევით“.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ „ინფორმაციას“ „მთავარი არხი“ გამოეხმაურა: „მთავარ არხს“ მოქალაქე დაუკავშირდა, რომელიც ამბობს, რომ კონტროლიორმა, რომელიც კალაძის დავალებით გლდანის ტერიტორიაზე ქუჩას ასუფთავებდა, სამი თითი დაკარგა“ და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს..

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი კლინიკა მსგავსი პაციენტის მათთან მოთავსებას არ ადასტურებს, „ნაცელიტა“ დაზარალებულის გვარის დასახელებისა და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ცეცხლის გაღვივებას ცდილობს, თუმცა „ნარჩენების რევოლუცია“ მაინც არ შედგა – არ გამოვიდა სამი თითის ბუნტიც.

პირიქით, თბილისის მოსახლეობამ ქალაქის დასუფთავებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და დედაქალაქის მერმა თანადგომისთვის ყველას მადლობა გადაუხადა. ვიცე-მერმა კი მომხდარის შეფასებისას პოლიტიკურ მოტივზე გაიკეთა აქცენტი: „წინასაარჩევნო პერიოდია და ძალიან ცუდია, როდესაც ვხედავთ, რომ ოპოზიცია ასეთი მეთოდებით აპირებს წინასაარჩევნო კამპანიის მართვას, თუმცა ჩვენ ვიქნებით ჩვენი მოვალეობების სადარაჯოზე. ერთი ღამე გავათენეთ, ბევრი გაგვითენებია, კიდევ ბევრს გავათენებთ, თუ ქალაქს ამის საჭიროება ექნება. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენსა და ჩვენს თანამშრომლებს შორის სადავო საგანი არ არსებობს. მათი პრეტენზიები და ჩვენი გეგმები სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ხელფასის მატებაც მოხდა გასულ წელს, ამის შესაძლებლობა იქნება და კიდევ მოხდება; სპეცტექნიკაც შევიძინეთ და კიდევ შევიძენთ დამატებით, ასევე, უნიფორმებსაც. ძალიან კარგად გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია სამუშაო პირობების შექმნა, გამართული სპეცტექნიკის, უნიფორმის და სხვა მატერიალური აღჭურვილობების ქონა, როგორც „თბილსერვის ჯგუფის“, ისე მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურების მიმართულებით, რათა სათანადოდ მოვემსახუროთ დედაქალაქს. კარგია, რომ დღეს შეთანხმება სახეზეა“, – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

მოვლენების ამ კუთხით განვითარებამ, საზოგადოებას ნათლად დაანახა, ვინ იდგა სინამდვილეში ე.წ. ბუნტის უკან. ლევან ხაბეიშვილი, რომელსაც დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ხელფასი თბილისის პარალიზებისას გაახსენდა, იმ დროს, როცა ნაცმოძრაობის პირველი თუ არა, არც უკანასკნელი „სკრიპკა“ იყო, მერიაში მუშაობის დროს 5400 ლარს იღებდა, მეეზოვეებს კი ამ დროს 250-ლარიანი ანაზღაურება ჰქონდათ, ე.წ. სპეცებს 300-350 ლარი, მძღოლებს კი 600 ლარამდე. დღეს მეეზოვეს 625ლარი აქვს ხელფასი, სპეცმუშაკს – 950, დამხმარე მუშას 950 ლარი, მძღოლს კი 1095 ლარი. აი, ამ ხელფასს აპროტესტებდა ყოფილი ჩინოსანი. დიახ, არაა ეს დიდი ხელფასი,

მაგრამ ყველა თანამშრომელმა შესანიშნავად იცის, რომ მათი ხელფასები კიდევ მოიმატებს, ყოველგვარი ბუნტისა და გაფიცვის გარეშე.

კიდევ ერთი საკითხი: პარტმუშაკები ასევე „აპროტესტებდნენ“ სპეცტანსაცმლის არარსებობას და უმძიმეს პირობებს.

„მე ვარ თბილსერვის ჯგუფის შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე ჩემი უშუალო მიზანი და ამოცანაა დაცული იყოს თითოეული დასაქმებულის შრომის უსაფრთხოება და მათი ჯანმრთელობა! მე მზად ვარ, თუ ვინმეს სურვილი ექნება, ჩემთან ერთად მოინახულოს დასუფთავების სამსახურის სასაწყობე ფართები, საიდანაც ხდება ტანსაცმლის, ნიღბების გაცემა ყოველ დილით. გაეცნოს იმ ყოველდღიურ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებს და სატრენინგო მასალებს, რომელიც უტარდებათ დასაქმებულებს, არა მარტო ქვედა რგოლში, არამედ მთლიანად სტაფს! აი, ამ ნაგავსა და მტვერში, უკვე ორი წლის მანძილზე, არც ერთ დასაქმებულს რომ არ ჰქონია კორონავირუსისგან დასნებოვნება და გართულება, ხელშეკრულება რომ გვაქვს კლინიკასთან, რომელიც 6000 თანამშრომელს ტესტირებას უკეთებს, ეს როგორ გგონიათ ხარჯების გარეშე ხდება? მობრძანდით და ნახეთ, ბატონებო და ქალბატონებო, დღეში რამდენჯერ ხდება ალკოტესტის და თერმოსკრინინგის მონიტორინგი. მერე კი, მერე სხვა სამსახურებში გავიდეთ და ვნახოთ სამუშაო პროცესში (თბილსერვისი მარტო დასუფთავების სამსახური არ არის, სხვათაშორის). თუ თქვენ ვინმეს ნახავთ, ან ძველი ფორმა აცვიათ, ან უფორმოდ არიან, თუ არ აქვთ საწყობიდან ხელმოწერით აღებული სრული აბრევიატურა, მაშინ თქვით, რომ ყველაფერი ეს ბლეფია და როგორც ერთგან წავიკითხე, ზაფხულში ზამთრის ტანსაცმელი აცვიათ! სამსახურის დაწყების წინ დასაქმებული შემოდის პირადად ჩემთან და ვერც ერთი ბრიგადირი ვერ გაბედავს და არც ყოფილა შემთხვევა, რომ ფორმის გარეშე სამუშაო ადგილზე გაეშვას ვინმე. თითოეული უბანი მოწმდება, სამუშაო პროცესში, დღეში სამჯერ უსაფრთხოების მონიტორინგის მიერ. ადგილზე მუშაობს პროფკავშირები, ნებისმიერი ინციდენტი და მკურნალობა ანაზღაურებადია საწარმოს მიერ, ყველა თანამშრომელი წელიწადში სამჯერ მაინც საჩუქრდება პრემიით და სადღესასწაულო საჩუქრებით. რა ვიცი, კიდევ ბევრი რამ და დეტალებისთვის ნამდვილად ვისაც დაგაინტერესებთ, დამიკავშირდით და მობრძანდით, როცა გნებავთ“ – წერს სოციალურ ქსელში ნინი ჭელიძე.

პასუხგაუცემელი კითხვა

- მაშ, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა?

„ნაცებმა“ იციან, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და არჩევნებს ვერ მოიგებენ. ისიც მშვენივრად უწყიან, რომ სამთითმოკვეთილი ადამიანის არსებობას ვერასოდეს დამიანის ჩინოსანი. ეს ყველამ იცის და სწორედ ამიტომ გაიქცა, ჟურნალისტებთან ერთად, შუაღამისას დიდ დიღომში ნიკა მელია. სწორედ ამისთვის მიეჭრა (როგორც ამბობენ, ნასვამი) ლევან ხაბეიშვილი კალაძეს ნარჩენების გატანის პროცესში. ოპოზიცია, ამომრჩევლების ემოციებზე თამაშობს, უშვებს სიცრუის „ბოლს“ და ელოდება – ეგებ, შემთხვევით, ლუკმა ჯამში ჩავარდეს. არ ჩავარდა და ახლა, ალბათ, სხვაგან უნდა ველოდოთ „აფეთქებას“.

წესიერი ოპოზიცია გაჭირვების ჟამს, ხელისუფლებასთან ერთად ცდილობს პრობლემის გადაჭრას – ესაა ქვეყანაზე, ქალაქზე, ხალხზე ზრუნვა. ნაგვის გატანა-არგატანა რა მოსატანია, იმ ფონზე, როცა თბილისი წყალმა წაიღო, როცა ათობით ადამიანი დაიღუპა და როცა სრულიად საქართველო გლოვობდა, ოპოზიცია არც მაშინ დადგა ხელისუფლების გვერდით.

ეპილოგი: „ბავშვი ცხვრებს აძოვებდა. ვითომ მგელი დაინახა, დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, მგელიო!.. გლეხები გაიქცნენ, ნახეს, ტყუილი იყო. ასე მოატყუა მეორედ და მესამედ. მეოთხედ მგელი მართლა მოვიდა. ბავშვმა მორთო ყვირილი: არიქა, მიშველეთ, მგელიო. გლეხებს ეგონათ, კიდევ გვატყუებსო და ყურიც არ ათხოვეს. მგელი უშიშრად დაერია ფარას და დიდი ზიანი მიაყენა“. (იაკობ გოგებაშვილი, „ცრუპენტელა“)

კოვიდისტერია და არშემდგარი ჟურნალისტური „რევოლუცია“!

...ვიდრე ობიექტურად შევაფასებ, რა გამოავლინა 5-6 ივლისის მოვლენებმა და სად იყო დაშვებული ნებსითი (შეგნებული) თუ უნებლიე შეცდომები, უპრიანია, აღინიშნოს, რამდენად ადეკვატური იყო საზოგადოების რეაქცია და რამდენად აცნობიერებს იგი იმ მოსალოდნელ საშიშროებას, რომელიც თან ახლავს აგრესიულად განწყობილი ლიბერალების მასირებულ შეტევას ტრადიციულ ღირებულებებზე. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, რამდენად ეფექტური გამოდგა დაპირისპირების ის ფორმა, რომელიც საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა აქციაზე გამოავლინა.

მიუხედავად იმისა, რომ გეიპრაიდის რუსთაველზე ჩატარება თავიდან ავიცილეთ, ვერ ვიტყვით, რომ ლგბტ-ს მოწინააღმდეგეებმა „გამოცდა“ წარმატებით ჩააბარეს. მითუმეტეს, არ ვიცით, ძალადობის ინსპირირება ოპოზიციიდან შეგზავნილმა პროვოკატორებმა მოაწყვეს, თუ აღტყინებული მასის მართვა ვერ მოხერხდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად ქართული ტელემედიის წარმომადგენლებისადმი საზოგადოების აგრესიული დამოკიდებულებისა, აქციის მონაწილეებმა არაადეკვატური რეაქცია გამოავლინეს და მოძალადის იარლიყიც მიიკრეს!

მრავალგზის დამიდასტურებია საჯაროდ ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება ქართული პარტიული ტელემედიის მიმართ — მართალია, ისინი (ჟურნალისტები) ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმას არღვევენ, მაგრამ, მათ გასანეიტრალებლად არსებობს ყველაზე ეფექტური იარაღი: **სრული იგნორი ან ალტერნატიული მედიასაშუალებების შექმნა, რომელიც დააბალანსებს აგრესიულ, პირდაპირ ვიტყოდი, აღვირახსნილობამდე დასულ ლიბერალურ მედიას.** ჩვენ ვერც იგნორი ვისწავლეთ და არც ალტერნატიული (მიუკერძოებელი) მედიასივრცის ფორმირებაზე ვიწუხებთ თავს!

ქართული ჟურნალისტიკა (ტელემედია) ეთიკის ყოველგვარ ნორმებს რომ გასცდა, ქვეყანაში ქაოსის დამკვიდრებას და ადამიანთა ზომბირებას რომ ემსახურება, ესეც ფაქტია, მაგრამ, ის მეთოდები, რომელიც მისი (მედიის) განეიტრალებისთვის ავირჩიეთ, არა მარტო არაეფექტური, არამედ, უსარგებლოა — თუ გინდა მოწინააღმდეგე დაამარცხო, სხვა გზა, სხვა ხერხი უნდა აირჩიო, რადგან, იგი ავანტიურაში იმდენად დახელოვნებულია, ვერ მოერევი!

ქართული ჟურნალისტიკა (განსაკუთრებით ქართული ტელემედია) რომ მოძალადეა, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ, ძალადობას ძალადობით რომ ვერ ამოძირკვავ, ესეც ხომ აძსიომაა?!

მართალია, 5-6 ივლისის მოვლენებში დაზარალებულებმა ჟურნალისტული „რევოლუცია“ დააანონსეს, მაგრამ, ფეხი არ ჩაუვიდათ, რადგან, ჯერ ერთი, ქვეყანაში რევოლუციური განწყობა არ არის, მეორეც, იმდენად შეაძულეს ხალხს თავი, მათი მხარდამჭერები აგრესიულ ოპოზიციას ვერ გაცდა. ეს რომ ასეა, ჟურნალისტების მიერ ორგანიზებულმა რამდენიმედღიანმა საპროტესტო აქციამაც დაადასტურა.

და რაც ყველაზე ნიშანდობლივია: **ტელემედიამ, რომელმაც საერთოდ ხელი აიღო პროფესიულ ღირსებაზე და აგრესიული ოპოზიციის დანამატად იქცა, საბოლოოდ დაისამარა საკუთარი თავი — არც პოლიტიკოსებად ივარგეს და ვერც რევოლუცია მოახდინეს!**

ვინ არის დამნაშავე?!

ხალხი, რომელმაც აქამდე მიიყვანა ყველაფერი — იტყვით თქვენ და არც უმაგისობაა. ჩვენ 30 წელია, მივეჩვიეთ, რომ ყველაფერი, მათ შორის, ჩვენი გასაკეთებელი, სხვამ უნდა გააკეთოს. ჩვენ კი კომპიუტერის კლავიშებზე უნდა ვაკაკუნოთ, ან მხოლოდ ორთქლის გამოშვებით და ცარიელი მუქარით უნდა დავკმაყოფილდეთ.

თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე დიდი დამნაშავე ხელისუფლებაა — ხელისუფლება, რომელმაც მყარი სამართლებრივი ნიადაგი შექმნა (ანტიდისკრიმინაციული კანონი) ლგბტ თემის გააქტიურებლად და დროზე არ აღკვეთა ლგბტ-პრაიდის რუსთაველზე ჩატარების მცდელობა საზოგადოების განწყობის გათვალისწინებით, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა სიტუაციის გართულება, არ გააუქმა პრაიდი და არც არაფერი იღონა, რომ აქციის მონაწილეთა მხრიდან ჟურნალისტებზე ძალადობა თავიდან აეცილებინა. აპელირება იმაზე, რომ არ იცოდნენ აქცია ჟურნალისტების მიმართ აგრესიაში თუ გადაიზრდებოდა და დღის საათებში ადგილზე საკმარისი ძალა არ აღმოაჩნდათ, მათ პასუხისმგებლობას არ ამცირებს!

აშკარაა: ხელისუფლებამ შეგნებულად შეუწყო ხელი სიტუაციის ესკალაციას, რომ საზოგადოების კონსერვატიულად განწყობილი ნაწილისთვის მოძალადის იარლიყი მიეკერებინათ.

არ გამოვრიცხავ, მოძალადეთა ამქარში ოპოზიციის მიერ შეგზავნილი პროვოკატორებიც იყვნენ. თუმცა, არც ეს ამცირებს აქციის ორგანიზატორთა და ხელისუფლების პასუხისმგებლობას.

როგორც წესი, აქციას მართვა სჭირდება, რაც ორგანიზატორების სისუსტედ უნდა ჩაითვალოს. აქციაზე პროვოკატორების შეგზავნა რომც გამოვრიცხოთ, აჟიტირებული მასის მართვა ურთულესი საქმეა. მითუმეტეს, აგრესიულ ფონზე, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა მთელ აქციას.

სამწუხაროდ, დამბალანსებლის როლი ბოლომდე ვერც ეკლესიამა შეასრულა — როცა მრევლს ქაშუეთთან იწვევ და პარაკლისის გადახდისკენ მოუწოდებ, უნდა დაამუნათო, რომ ეკლესიისთვის ძეშეცდომილნი (პრაიდის მონაწილენი და მხარდამჭერები) და ტრადიციული ღირებულებების მიმდევარნი მისი სულიერი შვილები არიან და ძალადობა უნდა გამოირიცხოს. მათ კიდევ ერთხელ უნდა შეეხსენებინათ მრევლისთვის: ჩვენ ვემიჯნებით ცოდვას, მაგრამ ფიზიკურად არ ვერჩით ცოდვილებს...

აქციამ გამოავლინა, რომ კონსერვატიული ფრთა, რომელმაც უნდა დააბალანსოს ლიბერალური გამოხტომები, ძალიან მყიფეა და არ შესწევს ძალა უშეცდომოდ მართოს პროცესები. მეტიც, მათ ლიბერასტებისგან (კონკრეტულ შემთხვევაში, ჟურნალისტებისგან) წამოსულ აგრესიას აგრესია დაუპირისპირეს, რის გამოც ხელიდან გაექცათ პროცესები — შედეგიც, რა თქმა უნდა, ადეკვატური მივიღეთ.

შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ყველაფერი შეგნებულად იყო ინსპირირებული, რომლის მიზანი არსებითი პრობლემებისგან საზოგადოების ყურადღების მოდუნებაა. ვგულისხმობ, კოვიდსიტუაციას, რომელიც ლგბტ პრაიდისგან განსხვავებით, ქვეყანას (სამყაროს) ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აყენებს.

ჯერ ერთი, როცა წინასწარ იყო დაანონსებული კოვიდაფეთქების ახალი ტალღა, ამის „სარეალიზაციოდ“ პერმანენტული აქციები ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა, რასაც ბოლოდროინდელი კოვიდტატისტიკაც ადასტურებს.

დასკვნა მარტივია: **ხელისუფლება და ოპოზიცია (თავის მედია — არასამთავრობოებიანად) შეთანხმებულ თამაშს თამაშობენ, რომლის მიზანი მასობრივი ვაქცინაციაა. არ გამოვრიცხავ, კოვიდსტატისტიკის ზრდის ფონზე იძულებითი ვაქცინაცია დაკანონდეს, ყოველ შემთხვევაში, ამის სიმპტომები უკვე სახეზეა.**

სამწუხაროდ, დღეს, როცა ყველაფერი ხელისგულზე დევს და ყველაფერი გაშიშვლებულია, ხალხი ისევ ინერტულ მდგომარეობაშია და ჩიხიდან გამოსავალს ვერ პოულობს. **ვერ გავითავისეთ, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და ამ მომენტში მთავარი იარაღი საზოგადოების ერთობაა. ჩვენ კი სოციალურ ქსელში ერთმანეთთან ძიძგილაობაში ვირთობთ თავს და ვერ ვაცნობიერებთ, რომ ურჩხული დღითიდღე გვიახლოვდება!**

* * *

რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნების“ ბოსებმა განაცხადეს, რომ ე.წ. „მიშელის დოკუმენტი“, რომელმაც ყირაზე დააყენა საქართველოს კონსტიტუცია, ანულირებულია. რას უნდა ნიშნავდეს ეს?!

ნუთუ „ოცნებას“ ეყო გამბედაობა, ცალმხრივად უარყოს ევროკავშირის დირექტივები, თუ ესეც თამაშის ნაწილი იყო?!

აღნიშნულთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გაჟღერდა. ერთ-ერთი მათგანი ადგილობრიც არჩევნებს უკავშირდება — მიშელის დოკუმენტის თანახმად, თუ „ქართული ოცნება“ 43%-ს ვერ აიღებდა, 2022 წლის შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნულიყო. ვერსიის ავტორები ამტკიცებენ, რომ ქართულ პოლიტიკაში გიორგი გახარიას შემოსვლა „ოცნებას“ აშკარა პრობლემებს შეუქმნის და შესაძლოა 43% ვერ გადალახოს!

პრიმიტიული მსჯელობაა: ასე რომ იყოს, როგორც ზემოთ ვთქვი, „ოცნება“ ვერ გარისკავს ცალმხრივად გაუქმოს ევროკავშირის დირექტივები. მეორეც, 5-6 ივლისის მოვლენებმა თითქმის გაანულა არსებული ოპოზიციის (ვამბობ ოპოზიციას და უპირველესად, იგულისხმება „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი) რეიტინგი, რომლის მთავარი მიზანი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლა და რევოლუციის გზით ხელისუფლებაში მოსვლაა.

რაც შეეხება გიორგი გახარიას, არა მგონია, მან ისეთი მხარდაჭერა მოიპოვოს, „ოცნება“ ჩააჩოჩოს“.

ჩვენი პრობლემა სწორედ იმაშია, რომ ერთმანეთზე პოლიტიკურად დაქორწინებულ ორ იდენტურ პოლიტიკურ ძალას, სხვა ძალით ვერ ვანაცვლებთ!

აქედან გამომდინარე, ამ მოჯადოებულ ვითარებაში არა მარტო ადგილობრივ, არამედ, ნებისმიერი ხასიათის არჩევნებს აზრი ეკარგება — არსებითად ის არაფერს შეცვლის!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

ერთ-ერთი მთავარი ანტიგმირი მიხეილ სააკაშვილი გუშინ საუბრობდა ომზე, იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობას ველაპარაკოთ მშვიდობაზე, ეს ადამიანები ისევ ფიქრობენ რევოლუციაზე, დანგრევაზე, ომებზე

„გუშინ ვუყურებდი ერთ-ერთ მთავარ ანტიგმირს, ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც თავის ტელეკომპანია „მთავარ არხზე“ გამოდიოდა და ისევ საუბრობდა ომზე. ჟურნალისტი, რა თქმა უნდა, ეკითხებოდა წინასწარ შეთანხმებულ კითხვას, ომი რომ იყოს დღეს, რა მოხდებოდაო. წარმოიდგინეთ, მეგობრებო, იმის ნაცვლად, რომ ჩვენს მოსახლეობას ველაპარაკოთ მშვიდობაზე, სტაბილურობაზე, ეს ადამიანები ისევ ფიქრობენ რევოლუციაზე, დანგრევაზე, ომებზე. აი ეს სამარცხვინო სიტუაცია აღარ განმეორდება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ კარგად ვიცით, ხალხი ბრძენია, ხალხმა გადაწყვიტა ის, რომ ეს მჩაგვრელი, მართლაც ანტისახელმწიფოებრივი ძალა ჩამოაშორა ჩვენს ქვეყანას რვა წლის წინ და დამყარდა მშვიდობა და სტაბილურობა. ჩვენ ვართ მართლაც ხალხზე ორიენტირებული ხელისუფლება და მთავრობა. შეცდომები განა არ მოგვდის, მოგვდის შეცდომები, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არის შეცდომები. ყველა ადამიანს მოსდის შეცდომა. მმართველი არ არის გამონაკლისი და გამორჩეული ადამიანი. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, ყველს მოსდის შეცდომაც, ხარვეზები, მაგრამ ამ ყველაფერს ჩვენ ვასწორებთ. რაც მთავარია, მივდივართ წინ, ვავითარებთ ქალაქებს, სოფლებს, რაიონებს, მუნიციპალიტეტებს, ვემსახურებით მოსახლეობას და ხალხს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„დიდგორის რკალი“

ექსპედიციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

ექსპედიციის მონაწილეთა დაკვირვებანი

თამარ ფარჩუკიძე, ისტორიკოსი:

„დიდგორნი“ ანუ „დიდგორთა ველი“ – ასე მოიხსენიება უძველეს წყაროებში ეს ადგილი, რომელიც რამდენიმე გორას აერთიანებს. „გორა“ უხსოვარ დროში ერთი დიდი გვარის (გორის) საკრებულოს ნიშნავდა, რამდენადაც, ერთი კონკრეტული ოჯახის, – გვარის ხალხი უსაფრთხოების მიზნით გორისზე თავზე სახლობდა ხოლმე. ეს შინაარსი დევს კითხვაში – „ვისი გორისა ხარ?“

...ჩვენი ჯგუფის თითოეული წევრი თავისი განვლილი ცხოვრებისეული გზითა და პროფესიული ღვაწლით, აქ კონკრეტული სადიდგორე სულიერი ძღვენითაა ამოსული. მეც მოკრძალებული საჩუქრით ვეახლე აქაურობას. პირველი გახლავთ ხეში ახლადგამოკვეთილი ნამუშევარი, რომელიც ორ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოს აერთიანებს. აქედან ერთი – გელათის აკადემიის ემბლემაა, რომლის მიგნება ბატონ რევაზ სირაძეს ეკუთვნის, მეორე კი, – პეტრიწონის აკადემიის ანალოგიური ნიშანი თქვენი მონა-მორჩილის მიერაა მოძიებული.

აღნიშნულ სიმბოლოთა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი დასკვნები, რომლებიც ცვლის აქამდე არსებულ ბევრ დებულებას და ძველი ისტორიის ახლებურ გააზრებას ითხოვს.

მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი ყოფილა დავით აღმაშენებლის დროის მოღვაწე, დიდი მეფის თანამოაზრე და ერთგული მრჩეველი, ამავე დროს „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის სულისჩამდგმელი...

სიმბოლურია, რომ ექსპედიციამ სათავე დღევანდელი ფარნავაზ მეფის გამზირისა და იოანე პეტრიწის ქუჩის შეერთების ადგილიდან აიღო, ხოლო დიდგორი ისეთი ორიენტირია, ყოველდღე უნდა გვახსოვდეს!..

დავით შონია, ისტორიკოსი:

ვარ 74 წლის ისტორიკოსი, მაგრამ რასაც ახლა მოგითხრობთ, წიგნებიდან არ ამომიწერია. ბავშვობა-ყრმობის წლებში თანასოფლელი კოლხებისაგან მაქვს მოსმენილი, როგორც წინაპართაგან თქმული: თუ როგორ გადაწყვიტა დავით მეფემ მომხდურ მტერთაგან საქართველოს განთავისუფლება.

თავის მოძღვარ გიორგი ჭყონდიდელთან ერთად, იგი მცირე ამალით ხშირად ეწვეოდა თურმე საქართველოს სხვადასხვა მხარეს. იმ წელს აფხაზეთში, კოდორის ხეობაში შემოსულან. ულოციათ კურკუციას და წებელდის ტაძრებში და მრევლისთვის გაუნდიათ გულისნადები. გულს გული უცვნია, კოდორელებს დღე და ღამე უსწორებიათ და მეფისთვის 3000 ცხენოსანი ლაშქარი შეუგროვებიათ. ყველა ცხენი ყოფილა თეთრი ფერისა!..

ჯარის საბანაკო, საწვრთნელ ადგილად შეურჩევიათ ჩვენი ძველთაძველი სოფელი ნაა. ნაა კოლხური სიტყვაა და ნიშნავს დედას. ასე მაგალითად, ნააქ ვადომღურუ (დედა ნუ მომიკვდება). ეს სიტყვა იგივე მნიშვნელობით ფართოდ იხმარება ლაზებში.

ახალგაზრდა მეფე დავითი და მისი მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი უშუალოდ მონაწილეობდნენ თურმე ცხენოსანი ჯარის წვრთნაში. ხმალ-შუბლ-მშვილდის ხმარების გარდა, მთავარი მოთხოვნა ყოფილა – ყველა მხედარს სცოდნოდა ცურვა, ჰყოლოდა მარდი, მოცურავე ცხენი, რომ შეძლებოდა ბობოქარ მდინარეთა გადალახვა, გადაცურვა-გადმოცურვა, ისე როგორც „ვეფხისტყაოსანშია“: ფრიდონი და მისი ცხენი თავისუფლად დაცურავენ და იბრძვიან „ზღვაში“.

ასე გაწვრთნილ ლაშქარს ფიცი დაუდია უფლის, სამშობლოს და მეფის წინაშე, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იბრძოლებდნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის. 1121 წლის დამდეგს დავით მეფის აფხაზეთში ყოფნის დროს დიდი თოვლი მოსულა. გზები ჩაკეტილა. მაცნეს მეფემდე მაინც მიუღწევია და ამბავი მიუტანია, რომ თურქ-სელჩუკთა ჯარმა აიკლო მტკვრისპირეთიო... და მეფე დავითს, მიუხედავად თოვლდიდობისა, ლაშქრობა უბრძანებია. კოდორელთა ლაშქარს მისი წინამძღოლობით გადაულახავს თოვლიან-ყინულიანი კოდორი, ენგური, რიონ-ყვირილა. შემდეგ ბარ-ნიჩბებით გადაუთხრიათ დათოვლილი ლიხის ქედი, ახლანდელი საზომებით რომ ვთქვათ, 6 მეტრი სიმაღლის თოვლის საფარი. მოულოდნელად თავს დასხმიან თავგასულ მტერს და გაუნადგურებიათ იგი.

იმავე გაზაფხულზე, კოდორელ თეთრ ცხენოსანთა ლაშქარს სამხრეთის მხრიდან გადაულახავს ადიდებული მდინარე მტკვარი. ისევ მოულოდნელად დასცემია მტერს და მეორე გამარჯვება მოუპოვებიათ. ზაფხულში კი მეფის ჯარის მხარდამხარ, დიდგორის ბრძოლის უდიდეს გამარჯვებაში თავისი წვლილი შეუტანია, შემდეგ, 1122 წელს კოდორელთა ლაშქარს თბილისის განთავისუფლებასა და სრულიად საქართველოს გაერთიანებაში თავი უსახელებია“.

ამ ამბების გულმართალი მთხრობელი იყო ჩემი თანასოფლელი, ბრძენკაცი ჩონთო შონია.



ფარნა რაინა

დიდგორი

უკან –
ცეცხლის გზა,
ცეცხლის
წინ – გორიც,
უთანასწორო ბრძოლით
ნათარსი...
გამოვიარეთ ერთი
დიდგორი,
გასავლელი გვაქვს –
ალგათ,
ათასი...

ვართ: მასპინძლობით,
მიწყივ,
გართული...
მხრეებზე შევისვით,
ძმურად,
ხიზანიც...
ჩვენი
სუნთქვა და...
ჩვენი –
მიზანი:
მზესავით ენთოს
გენი, –
ქართული...

ვინ – სვავი გვიტევს,
ხოლო,
ვინ – ქორი, –
ვნებად,
ნათელი ზეცის
წანისვლის...
დღესაც ომია,
ომი –
დიდგორის,
ომი –
შამქორის,
ანდა – კრწანისის?!..

გარშემო გვივლის
მტერი,
ვერაგი,
რომ... გვცეს მახვილი –
ფხიზელს,
მძინარეს...
არ გაგვიხდია –
ჯაჭვის
პერანგი,
რადგან... ომია –
დღესაც,
მძვინვარე...

ბევრჯერ ვიყავით:
ზღვარზე
გაქრობის,
რისხვა დავითის
ელვას
ჰგავდა – ცით...
ოკეანეში –
მტრობის,
მზაკვრობის
საოცარია:
როგორ –
გადავრჩით?!..

დრო, ხან,
სიკეთით,
ხან კი –
ქარად დის...
კარგს და ავს –
კიდევ,
რამდენს,
დავითვლით?!..
სიამაყეა
მუდამ,
მარადის:
სიბრძნე –
დავითის,
ხმალიც –
დავითის!..

წარსულზე ფიქრით
განა –
ვერთობით?!..
განცდები, ახლაც,
ხიდად –
იდგა...
დიდგორი:
ჩვენი ძალა, –
ერთობის!!!..
დიდგორი:
ჩვენი ერის –
დიდება!!!..

2021 წელი. ქ.თელავი

ᲡᲐᲨᲘᲨ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲐᲠᲔᲚ ᲘᲧᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ...

„ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ – ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲘ“, ᲬᲔᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲝᲠᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲡᲣᲜ-ᲫᲘ (VI-V ᲡᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐᲛᲓᲔ).

ძველი რომი აფორიზმების სამშობლო იყო. ერთიმეორეზე უკეთესი აფორიზმები გამოუთქვამთ იმპერატორებსა თუ ფილოსოფოსებს, სენატორებსა თუ პოეტებს. მაგრამ გაგონილიც არ ექნებოდათ სახელი ჩინელი მხედართმთავრისა და, ალბათ, არც მის ფრთოსან გამოთქმას იცნობდნენ. როდესაც კითხულობ სახელოვანი იულიუს კეისრის მკვლელობის ამბავს, ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ძველ რომში უშიშროების სამსახურს (თუკი საერთოდ არსებობდა) არ სწყალობდნენ და, რა თქმა უნდა, საიდუმლო აგენტებსაც (თუკი საერთოდ არსებობდნენ) დიდად არ აფასებდნენ.

თავად კეისარიც ცეცხლს ეთამაშებოდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, რატომღაც უარი განაცხადა შეიარაღებულ ესპანელ მცველთა თანხლებაზე (თურმე ამბობდა: **სჯობს კაცი ერთხელ მოკვდეს, ვიდრე დღენიადაგ სიკვდილის შიშსა ჭამდესო)**. არ დაიჯერა მკითხავის გაფრთხილება და არც ცოლის ავბედით სიზმარს გაუწია ანგარიში.

სამოცი კაცი მონაწილეობდა შეთქმულებაში. ისინი გარს შემოერტყნენ კეისარს სენატში და ოცდასამი ჭრილობა მიაყენეს. ექიმის დასკვნით, იმ ოცდასამიდან ერთადერთი გამოდგა სასიკვდილო. ნუთუ ჩინელი სუნ-ძის მიერ ქებაშესხმული საიდუმლო აგენტები უცხო ხილი იყო რომაელთათვის? სამოცი კაცი მონაწილეობდა შეთქმულებაში და ინფორმაციამ გარეთ არ გამოჟონა?

პლუტარქეს გადმოცემით, ვინმე არტემიდორე კნიდოსელი დაახლოებული ყოფილა შეთქმულების ერთ-ერთი თავკაცის – მარკუს ბრუტუსის წრესთან და წარმოდგენა ჰქონია დაგეგმილი თავდასხმის თაობაზე. ამ კაცმა იმ საბედისწერო დღეს წერილი მიართვა კეისარს და უთხრა: **„ჩემი წერილი მარტო შენ გადაიკითხე, კეისარო, და რაც შეიძლება სწრაფად! ეგ წერილი ფრიად მნიშვნელოვან ამბავს შეიცავს და ეს ამბავი შენ შეგეხება!“**

მაგრამ კეისარს სენატში მიეჩქარებოდა და ვეღარ მოასწრო წერილის წაკითხვა.

არტემიდორეს თავის წერილში ჩამოთვლილი ჰყავდა შეთქმულების მთავარი მონაწილენი: მარკუს ბრუტუსი, კასიუსი, დეციმუს ბრუტუსი, ცინა, კასკა და სხვანი. ეს მკითხავის წინასწარმეტყველება როდი გახლდათ, არამედ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც სიტყვასიტყვით დაადასტურა ცოტა ხნის შემდეგ სენატში გამართულმა სასაკლაომ. დღემდე გამოცანად რჩება, თუ ვინ იყო ზემოხსენებული არტემიდორე – უშიშროების სამსახურის საიდუმლო აგენტი თუ მოხალისე გულშემატკივარი კეისრისა.

* * *

ᲫᲕᲔᲚᲘ რომისგან განსხვავებით, თურქ-სელჩუკთა იმპერიაში დიდ ყურადღებას უთმობდნენ უშიშროების სამსახურს, რასაც თვალნათლივ მეტყველებს ის გარემოება, რომ სახელგანთქმული ვაზირი, ნიზამ ალ-მულქი ხელმწიფეთა სახელმძღვანელოდ დაწერილ პოლიტიკურ ტრაქტატში **(„სიასეთ-ნამე“)** ამ საკითხს უძღვნის საგანგებო თავს ასეთი სათაურით: **„მსტოვართა წარგზავნა და ღონისძიებანი სახელმწიფოსა და ხალხის კეთილდღეობისთვის“**.

ავტორი მოუწოდებს ხელმწიფეს, რომ გამუდმებით წარგზავნოს ყოველ მხარეს მსტოვარნი – გადაცმულნი ვაჭრებად, ყარიბებად, სუფიებად, წამლის გამყიდველებად, მათხოვრებად. რასაც კი ყურს მოჰკრავენ, ყველაფერი უნდა აცნობონ ხელმწიფეს, რათა არაფერი დარჩეს დაფარული და დროულად მიიღონ სათანადო ზომები. ნიზამ ალ-მულქის სიტყვით, ხშირად მომხდარა, რომ გამგებლები, მოხელეები და ამირები ამჟღავნებდნენ ურჩობას, მტრობას, ხელმწიფის წინააღმდეგ ავს განიზრახავდნენ ხოლმე. ჩავიდოდა იქ მსტოვარი, კარგად გაირჯებოდა და დაუყოვნებლივ შეატყობინებდა ხელმწიფეს, რომელიც მოულოდნელად თავს დაესხმოდა ავისმზრახველებს, შეიპყრობდა და ჩანაფიქრს ჩაუფუშავდა.

უცხო ქვეყნის აგრესიის შემთხვევაში, მხოლოდ მსტოვართა წყალობით თუ მოხერხდებოდა დროული სამზადისი და მტრის მოგერიება.

ნიზამ ალ-მულქის აზრით, მსტოვრებს ისიც ევალებოდათ, რომ ხელმწიფისთვის მოეხსენებინათ ქვეშევრდომთა კეთილდღეობა თუ გაჭირვება. მერე შეახსენებდა სულთანს, თუ როგორ ზრუნავდნენ წინანდელი ხელმწიფენი მართლმსაჯულებასა და სამართლიანობაზე; რას აკეთებდნენ, რათა ავკაცნი აღეგავათ პირისაგან მიწისა. **ძლევამოსილი გონება უმჯობესია, ვიდრე ძლევამოსილი ჯარიო, ამბობდა ვაზირი და დასძენდა: მადლობა ალაჰს, შენ ერთიცა და მეორეც მოგეპოვებაო**.

ნიზამ ალ-მულქი იმასაც აღნიშნავს, რომ ხელმწიფეთა ელჩები, როგორც წესი, ოფიციალური დავალების გარდა, ფარული მიზნებითაც არიან აღჭურვილნი. ისინი ზვერავენ უცხო ქვეყნის გზებსა და მდინარეებს, იკვლევენ ჯარის მომარაგების პირობებს, იქაური მბრძანებლის ზნესა და გონიერებას, მისი სარდლებისა თუ მოხელეთა ნიჭსა და ღირსებებს, ჯარის ოდენობასა და ძალგულოვნებას და ა.შ.

როგორც ჩანს, ნიზამ ალ-მულქს კარგად ჰქონდა აწყობილი უშიშროების სამსახურის საქმიანობა. ასე მაგალითად, მან დაწვრილებით იცოდა მულიდთა ანუ ასასინთა საიდუმლო ორგანიზაციის გეგმები და მისწრაფებანი. ამაზე ურჯულო და წყეული მოდგმა ქვეყნად არ არსო, მოახსენებდა ხელმწიფეს. მალე თავს გამოჰყოფენ თავიანთი სამალავებიდან და სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას გააჩაღებენო. ნიზამ ალ-მულქი ლამობდა ჰასან იბნ-საბაჰის შეპყრობას, ვინაიდან იცოდა, რომ სწორედ ის იყო მომავალ მეამბოხეთა წინამძღოლი. წინასწარმეტყველება ზედმიწევნით გამართლდა. მაგრამ ყველაზე საგულისხმო ის გახლავთ, რომ მულიდებმა თავიანთი ტერორის პირველ მსხვერპლად სწორედ წინასწარმეტყველების ავტორი აირჩიეს. მსტოვრებზე არანაკლებ ემარჯვებოდათ შენიღბვის ხელოვნება და სუფის სამოსელში გამოწყობილმა ჭაბუკმა დანა ჩასცა ტახტრევანში მჯდომ ნიზამ-ალ მულქს. ოცი დღის შემდეგ სული განუტევა სახელგანთქმულმა სულთანმა მალიქ-შაჰმაც. ფიქრობენ, რომ იგი მულიდებმა მოწამლეს.

მსტოვარნი უძლურნი აღმოჩნდნენ ტერორისტთა წინააღმდეგ. ასე დაიწყო თურქ-სელჩუკთა იმპერიის რღვევა.

* * *

...ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ სამსახური ჩინებულად მოქმედებდა ბიზანტიაში. მისი მთავარი ამოცანა იყო უზრუნველყოფა იმპერატორის უსაფრთხოებისა. საიდუმლო აგენტები მრავლად იყვნენ არა მარტო სატახტო ქალაქში, არამედ პროვინციებშიც. ბიზანტიელი ისტორიკოსის სიტყვით, ეს იყო **„უთვალავთვალება ძალა“**, რომელსაც ვერსად დაემალებოდი.

შიში ზაფრავდა მთელს მოსახლეობას. უშიშროების სამსახური აფრთხობდა წარჩინებულსაც და მდაბიორსაც. XI საუკუნის მხედართმთავარი კეკავმენი შვილისთვის დაწერილ სწავლა-დარიგებაში აფრთხილებდა მას: **ხელმწიფისა და დედოფლის სახელს საერთოდ ნუ ახსენებო; იმ ლხინში ნუ წახვალ, სადაც თავს მოიყრის საეჭვო ხალხიო; შენ თვითონაც ნუ გამართავ ლხინს, ვაითუ, ზედმეტი სიტყვა წამოროშო; დიდკაცთა საქციელს ნუ დაძრახავ, თორემ მაშინვე იტყვიან, ხალხს აღელვებსო.**

შემონახულა იმდროინდელი მინიატიურა: კერძო სახლში ფარდის მიღმა სხედან საიდუმლო ძიების აგენტები და გაფაციცებით იწერენ ოჯახის წევრთა შინაურ საუბარს.

* * *

ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲗᲐ გამოცდილება და პრაქტიკა სათანადო ზომებს უკარნახებდა საქართველოს მეფეს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფის ფუნქციათა შორის (სამხედრო და საგარეო საქმეები, მართლმსაჯულება, ფინანსები, სოციალური პრობლემები) აღნიშნავს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს: **„მთავართა ზაკვის ცნობანი“**.

ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ „ᲖᲐᲙᲕᲐ“ – ᲞᲘᲠᲘᲗ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲘᲩᲔᲛᲔᲑᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲠᲮᲣᲚ.

როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებელს მაღალ დონეზე აუყვანია უშიშროების სამსახურის ქმედითუნარიანობა. დიდგვაროვანთა თუ მდაბიოთა ყოველგვარი საქმე, კეთილი გინდ ბოროტი, არა ყოფილა მისთვის დაფარული. დიახ, გარეულ თუ შინაურ მტერთაგან შეჭირვებული ქვეყნის მბრძანებელს ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა არა მარტო ისპაანსა და ბაღდადში, კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში, არამედ ისიც, რას ფიქრობდნენ და რას ამბობდნენ ფეოდალის სასახლესა თუ გლეხის ქოხში, ეკლესია-მონასტრებსა თუ ლაშქარში.

შორსმჭვრეტელი მემატიანე, ჩანს, გრძნობს მკითხველის მოსალოდნელ რეაქციას და დაყვავებით მიმართავს: **„ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე“**. ნუ გაინტერესებს რა ხერხებსა და ღონეს ხმარობდნენ, დაუკვირდი სასიკეთო შედეგებს, მიღწეული სარგებლობა შეაფასე და მერეღა განსაჯეო.

მემატიანის ამ მსჯელობასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: **„საქართველოში ეს საქმე, დავით აღმაშენებლის დროს, როგორც ეტყობა, ახალი შემოღებული ყოფილა და სათაკილოდ ითვლებოდა“**.

ბრძენმა და გულადმა მეფემ თავის მრავალრიცხოვან **„მაბრალობლებს“** (ანუ ოპოზიციონერებს) დაუპირისპირა მსტოვართა აპარატი, რომელიც იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ ვეღარავინ ბედავდა ხმის ამოღებას საკუთარ ოჯახშიც კი; ცოლსა და შვილებს ერიდებოდა, მეგობართან არ ამჟღავნებდა ხვაშიადს, თუკი მეფისა და ქვეყნის ძვირი ედო გულში. ყველამ კარგად იცოდა, რომ ყოველგვარი ავსიტყვაობა და ბოროტი ზრახვა დაუყოვნებლივ აღწევდა მეფის ყურამდე. მემატიანის სიტყვით, დავით აღმაშენებელმა **„დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავლისა კეთილისა მიზეზ იქმნა ესე“**. მსტოვართა მეოხებით, მრავალნი უმხილებიათ და სასტიკად დაუსჯიათ. მემატიანე დასძენს: ორგულობას, მზაკვრობასა და ღალატს გულშიც ვეღარავინ გაივლებდაო.

ტოტალური მეთვალყურეობა, რასაკვირველია, ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ მეფისა და ქვეყნის უშიშროებას. მემატიანის სიტყვით, დავით აღმაშენებელს ეს იარაღი ბოროტად არასოდეს მოუხმარია. უშიშროების სამსახურის გარჯას სასურველი და სანატრელი ნაყოფი მოუსხამს მთელი სახელმწიფოს მასშტაბით: **„ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ ყოველთა პატიოსნება“**.

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ უშიშროების სამსახურს დავით აღმაშენებლის საქართველოში, იქიდანაც ჩანს, რომ შინაგან საქმეთა საგანგებო უწყების თავკაცი ანუ მანდატურთუხუცესი, ვაზირის შემდეგ, უპირველესი ხელისუფალი იყო სამეფო კარზე; იგი წინ უსწრებდა ამირსპასალარს, ვინაიდან მეფე თვითონ იყო მთავარსარდალი და ამდენად, შინაგანი წესრიგის მეურვე უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სამხედრო საქმეთა ხელმძღვანელი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, სამწუხაროდ, არ გვანებივრებს სათანადო ინფორმაციით აღძრული საკითხის ირგვლივ. თავიდან გვიშორებს: **მკითხველო, ამას ნუ იძიებო**.

აღნიშნული ხარვეზის შევსება უცდია კონსტანტინე გამსახურდიას. ქართული პროზის დიდოსტატი თავის ტეტრალოგიაში **„დავით აღმაშენებელი“** დიდ ადგილს უთმობს მსტოვართა საქმიანობის აღწერას. ვეებერთელა თხზულების ლამის ყოველ თავში გვხვდებიან ხან მეფის და ხანაც მეამბოხე ერისთავისა თუ სელჩუკთა სულთნის მსტოვარნი. ერთმანეთს ეჯიბრებიან საქართველოს მიწა-წყალზეც და უცხო ქვეყნებშიც.

მწერალი დავით აღმაშენებელს ერთ საუცხოო აფორიზმს მიაწერს: **ხელმწიფის თვალი და ყური არა მარტო მტრის ციხეებში, მტრის გულშიაც უნდა იჭვრიტებოდესო**.

... ყოველივე ზემოთქმულის წყალობით, როგორც გვაუწყებს მემატიანე, დავით აღმაშენებელი **„საშიშ და საზარელ იყო ყოველთა“**. უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხში აღმოცენებულ სიყვარულს, გარკვეულწილად, ასაზრდოებდა მორიდება და შიში ქვეყნის თვითმპყრობელი, ღვთივკურთხეული მეფის წინაშე. ტყუილად როდი უთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს: **შიში შეიქმს სიყვარულსო**.

მაშ, საშიში და საზარელიო? ამგვარმა დახასიათებამ არ უნდა შეგვაცბუნოს. და თუ მაინცდამაინც გამართლება სჭირდება მას, საკმარისი იქნება გავიხსენოთ, რომ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებში ანალოგიური ეპითეტებით არის შემკული სამყაროს შემოქმედი და უზენაესი მსაჯული ზეცად და ქვეყნად: „ღმერთი დიდ არს და საშინელ ყოველთა ზედა... რამეთუ უფალი მაღალ არს და საშინელ...შენ საშინელ ხარ, და ვინ წინააღგიდგეს შენ? მიერითგან არის რისხვა შენი... საშინელ არიან საქმენი შენნი...“

ხოლო თვით დავით წინასწარმეტყველს ასე გვაცნობს ძველი აღთქმა: **„და იყო სახელი დავითისი ყოველსა ქვეყანასა და უფალმან მოსცა შიში მისი ყოველთა ნათესავთა“**.

იგივე შეიძლება ეთქვათ მისი ქართველი სეხნიის მისამართით...

მოამზადა
ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ზაქარია ფალიაშვილი – 150

ქართული საოპერო შედევრების დამფუძნებელი

„ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ, შენ მზეო აღმომავალო...“, „გამსჭვალა შენმა სურვილმა, ვითა შეშლილი დავალო...“ კულისებში შინაგანი ემოციით და გზნებით არიოზოს შესრულების შემდეგ, სცენაზე შემოჭრილი მალხაზი , ნანოსთან ერთად მყოფ მაროს აღგზნებული მიმართავს: „ქალო, რად შეკრთი, იწამე ღმერთი...“, **„თვალი მოგკარ მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ დაგინახე და მას შემდეგ ამ ჩემ გულში, ნატვრის თვალად ჩაისახე...“**, როგორი სიმძაფრით და დრამატიზმითაა აღსავსე მაროს და მალხაზის დუეტი, რამდენ სულიერ განცდას და წუხილს განიცდის მალხაზი „თავო ჩემოს“ არიის შესრულების დროს. სიტყვებში – „ბედი არ გიწერია...“ რამდენი სევდა და მწუხარებაა ჩადებული დიდი ვანო სარაჯიშვილის რჩევით ზაქარია ფალიაშვილის მიერ ოპერა „დაისში“ შეტანილ ამ მართლაც ბრწყინვალე მუსიკალურ ქმნილებაში. დაბოლოს, სასიკვდილოდ დაჭრილი მალხაზის სულის ამონაკვნესი – „გშორდები ტურფავ..“ გულგრილად მისი მოსმენა, მით უმეტეს მისი შესრულება შეუძლებელია (ეს ყველაფერი არაერთხელ შეუგრძნია ამ სტრიქონების ავტორს ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრსა და თბილისის საოპერო სტუდიაში, მალხაზის პარტიის შესრულების დროს). ოპერა „დაისის“ (ლიბრეტო ვალერიან გუნიასი. პრემიერა 1923 წლის 19 დეკემბერი) მდიდარი მუსიკალური პალიტრა ზაქარია ფალიაშვილის გენიალურობას ადასტურებს. ამით კომპოზიტორმა დასაბამი მისცა ლირიკულ-დრამატულ ჟანრს ქართულ საოპერო ხელოვნებაში. ოპერაში შეხამებულია ლირიკულ-სატირალო და გმირულ-პატრიოტული სიუჟეტები. გმირთა პირადი დრამა ცოცხალ და მრავალმხრივ ჟანრულ ფონზე იშლება. მხატვრულ სახეთა სიმდიდრემ და ფერადოვნებამ მუსიკის იშვიათმა პოეტურობამ თუ ნათელმა მელოდიურობამ, ალბათ ორივემ ერთად, განაპირობა ოპერის მნიშვნელობა, საერთო აღიარება და პოპულარობა.

ზაქარია ფალიაშვილი პირველი ქართველი კომპოზიტორია, რომელმაც თავის მუსიკალურ ნაწარმოებებში განასახიერა ჩვენი ხალხის სულიერი ძალა და სასიმღერო გენია, თავისი შემოქმედება კომპოზიტორმა ააგო ქართული ხალხური შემოქმედების მხატვრული განზოგადებისა და მსოფლიო კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებთან მისი სინთეზის საფუძველზე. ფალიაშვილი, თავისი გამორჩეული ადგილით, უდაოდ ნოვატორი კომპოზიტორია. იგი პირველი დაეუფლა მონუმენტური მუსიკის ფორმას, შექმნა ეროვნული სტილის უნიკალური კლასიკური ნიმუშები. მისი პირველი საოპერო ქმნილება – „აბესალომ და ეთერი“ ქართული მუსიკალური კულტურის ეტალონად და მწვერვალად გვევლინება (ლიბრეტო ხალხური თქმულების „ეთერიანის“ საფუძველზე შეადგინა პეტრე მირიანაშვილმა). ქალვაჟის სიყვარულსა და ტრაგედიაზე აღმოცენებული პოემა, ფალიაშვილმა მძაფრ მუსიკალურ ფერებში და მის მონუმენტურ წარმოჩენაში ასახა, განსაზღვრა ოპერის მუსიკის ამაღლებულობა, მხატვრული სახეებისა და დრამატურგიის ეპიკური ხასიათი, რაც მასობრივი საგუნდო სცენების სიჭარბით და მოქმედების მდორე განვითარებით არის ხაზგასმული. ამავე დროს, ოპერის მუსიკა მძაფრი შინაგანი ექსპრესიითა და შთაგონებითაა აღსავსე. ამ ოპერაში კომპოზიტორს გასაოცარი სიზუსტით აქვს გადაჭრილი მუსიკაში ხალხურობის ღრმად ფილოსოფიური საკითხი. მიუხედავად ნაწარმოების სირთულისა და სიღრმისა, მისი მუსიკა მომხიბლავი, სასიამოვნო მოსასმენია და იოლად აღქმის საშუალებას იძლევა. სწორედ ამით აიხსნება ის სიყვარული და პოპულარობა, რომელიც „აბესლომ და ეთერიმ“ მოიპოვა ხალხის ფართო მასებში. მისმა გამოჩენამ ქართულ სინამდვილეში უდიდესი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. აქტიურად გამოეხმაურა პრესა, დაიბეჭდა უამრავი საქებარი პუბლიცისტური ნარკვევი. ოპერის მთავარი პარტიების შემსრულებელთა შორის ერთ–ერთი პირველთაგანი დიდი ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი იყვნენ. აბესალომის სასოწარკვეთილი ამონაკვნესი: „მიშველეთ, ეს რა შემემთხვა!..“ შემზარავად გაისმოდა დარბაზში, მსმენელს სევდით აღავსებდა და მწუხარებას გვრიდა. ვანო სარაჯიშვილს აბესალომის პარტია, ერთ-ერთ ყველაზე რთულ პარტიად მიაჩნდა. **„როდესაც სცენაზე სინათლე ქრება და აბესალომი სულსა ლევს, მგონია, რომ მართლა გავთავდი. მას შემდეგ აღარაფერი აღარ მახსოვს... როდესაც შუქს ანთებენ და ხალხი ტაშს უკრავს, ვხვდები, რომ ყველაფერი ტყუილი ყოფილა და მიხარია!..“** ასე გადმოსცემს სარაჯიშვილი თავის განცდაზე. კომპოზიტორის და მომღერლის, ორი გენიოსის ტანდემმა და მჭიდრო შემოქმედებითმა ურთიერთობამ განაპირობა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ სრული ტრიუმფი.

„აბესალომის მუსიკაში გამოიხატა ქართველი ხალხის შემოქმედი გენიაც და მისი საუკუნოვანი სევდაც, დღეს კი ჩვენ მას აღვიქვავთ,როგორც ჩვენი ერის უკვდავებისა და მარადიულობის სიმბოლო“, – აკადემიკოსი ლადო დონაძე.

„აბესალომ და ეთერი“ მსოფლიო მუსიკის უდიდესი შედეგრთა სიმაღლეზე დგას“, – პროფესორი გულბათ ტორაძე.

ზაქარია ფალიაშვილის ორი სანიმუშო მუსიკალური ქმნილება – „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ უკვე ათეული წლებია არ ჩამოსულა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენიდან. ოპერები წარმატებით იდგმებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში, მათ შორის მოსკოვის დიდ თეატრში და უცხოეთში: ლოძში, ზაარბრიუკენში, პლზენში... ოპერები ჩაწერილია გრამფირფიტაზე. „აბესალომ და ეთერი“ გადაღებულია კინოფილმად.

მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მელოდიით და მუსიკალური ღირებულებებით გამოირჩევა კომპოზიტორის მესამე ოპერა – „ლატავრა“, მისი ცალკეული სოლო ნომრები და საგუნდო ეპიზოდები (ლიბრეტო სანდრო შანშიაშვილის. პრემიერა 1928 წლის 16 მარტი).

რამდენიმე შტრიხი კომპოზიტორის პორტრეტისთვის:

ფალიაშვილის გვარი წარმომავლობით სამხრეთ საქართველოდან, კერძოდ ჯავახეთიდან გახლდათ. კომპოზიტორის ოჯახი ახალციხიდან ქუთაისში გადასახლებულა. ზაქარია სწორედ აქ დაიბადა 1871 წლის 4 აგვისტოს პეტრე ფალიაშვილისა და მარიამ მესარქიშვილის ოჯახში. იგი მესამე შვილი ყოფილა.პეტრე ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში მსახურობდა, მარიამი ბავშვების აღზრდით იყო დაკავებული. ოჯახს უჭირდა. 11 შვილის მოვლა-პატრონობა არ იყო იოლი. ცოლ-ქმარს შვიდი შვილი სამწუხაროდ სხვადასხვა დროს, მცირეწლოვან ასაკში გარდაეცვალა.

ფალიაშვილები მუსიკალურობით გამოირჩეოდნენ: **„პატარაობიდანვე მთელს ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახში და-ძმებს ბუნებითად მუსიკალური ნიჭი დაგვყვა. ეს, ჩემი აზრით იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ როგორც კათოლიკენი, ხშირად მოსიარულენი ეკლესიაში, სადაც საეკლესიო ორღანის ნაზი ხმები სმენას ატკბობს და ანვითარებს, ჩვენც, და მომეტებულად მე და ჩემს უფროს ძმა ივანეს, რომელმაც პირველად თავის უმცროს და-ძმებს ჩაგვინერგა სიყვარული მუსიკისადმი, ერთთავად ეკლესიაში ვიმყოფებოდით და ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ჩვენი მუსიკალური სმენაც ვითარდებოდა“**, – იგონებდა მოგვიანებით კომპოზიტორი. ძმები კათოლიკურ ეკლესიაში გალობდნენ, ზაქარია აქვე დაეუფლა ფორტეპიანოსა და ორღანზე დაკვრას, დაწყებითი განათლება, ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში მიიღო.

1887 წელს ზაქარია ლადო აღნიაშვილის გუნდში იწყებს სიმღერას, 1891 წლიდან კი იგი თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ლითონის ჩასაბერ ინსტრუმენტთა კლასში, კერძოდ ვალტორნაზე დაკვრას ეუფლებოდა. 1895-99 წლებში თეორიულ დისციპლინებში მეცადინეობდა კლენოვსკის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში დაიწყო მან ხალხური სიმღერების შეგროვება და დამუშავება, ქმნის თავის პირველ მუსიკალურ ნაწარმოებებს. 1900-03 წლებში უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო მოსკოვის კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტზე. ტანეევის ხელმძღვანელობით. მოსკოვში მან ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა სიმღერის გუნდი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით ხშირად გამოდიოდა მაყურებლის წინაშე.

1903 წელს ზაქარია ფალიაშვილმა იულია უტკინაზე იქორწინა და მასთან ერთად თბილისში დაბრუნდა. მალე წყვილს ვაჟი შეეძინათ, რომელსაც ირაკლი დაარქვეს.

ამ პერიოდში იწყება ფალიაშვილის ინტენსიური შემოქმედებითი და საშემსრულებლო (ორღანისტი და დირიჟორი) მოღვაწეობა. მუშაობდა სამუსიკო სასწავლებელსა და ქართულ გიმნაზიაში, მის მიერვე შექმნილ გუნდთან ერთად კონცერტებს მართავდა და ფონოგრამით ხელში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩადიოდა ხალხური მომღერლების მიერ შესრულებული სიმღერების ჩასაწერად. აქტიურად იყო ჩართული მათ დამუშავებაგამოცემაში, მონაწილეობდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ დაფუძნებაში. შემოქმედებითად თანამშრომლობდა „ქართულ ენაზე ოპერების გამმართველ საზოგადოებასთან“, დირიჟორობდა სპექტაკლებს. 1905 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ფალიაშვილის პირველი რომანსები „ახალ აღნაგო სულო“ და „ნანა, შვილო“; სოლისტის გუნდის და ორკესტრისთვის დაწერილი მისი „მრავალჟამერი“, „ქართული ლიტურგია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1910 წლის 31 ოქტომბერს სწორედ კომპოზიტორის გუნდმა მიიღო მონაწილეობა ახლად გახსნილი ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის საზეიმო კურთხევის ცერემონიაში.

ზაქარიამ უამრავი (300-მდე) ხალხური სიმღერა შეაგროვა, გამოსცა ორი კრებული - „40 ქართული ხალხური სიმღერა“ და „8 ქართული ხალხური სიმღერა“. უკვე 1910 წლიდან იგი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ წერას იწყებს, რომლის ნაწყვეტები 1913 წელს ვანო სარაჯიშვილის და სანდრო ინაშვილის მიერ იქნა გაჟღერებული. ოპერის წერის პროცესი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ფალიაშვილების ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა, ზაქარიას ვაჟს, ირაკლის აგარაკზე ხის მორი დაეცა და ხელი საგრძნობლად დაუზიანა. ამას ქუნთრუშაც დაემატა, დიდ ხანს ჩავარდა ლოგინად. მიუხედავად იმ დროს არსებული ყველა სამედიცინო ღონისძიების გატარებისა, სამწუხაროდ 1915 წელს ირაკლი გარდაიცვალა. ზაქარიასთვის ეს უდიდესი ტრაგედია იყო. შვილის გარდაცვალებამ იგი საგრძნობლად მოტეხა. აღარაფერი ახარებდა. ნერვიული და გულჩათხრობილი შეიქნა, მთელ დღეებს შვილის საფლავზე ატარებდა. მუსიკალური ინსტრუმენტის დანახვაც კი არ უნდოდა. „აბესალომი“ საერთოდ მივიწყებას მიეცა. ოპერის დასრულება დიდი ხნით გადაიდო.

დრო მკურნალი გამოდგა და ერთ დღესაც ზაქარია ისევ მიუჯდა ფორტეპიანოს. „აბესალომსა და ეთერზე“ მუშაობა კვლავ გაგრძელდა. 1919 წლის 21 თებერვალს ქართველი ხალხისთვის ნანატრი დღე დადგა, ფალიაშვილის უკვდავი ოპერის პრემიერა გაიმართა თბილისის ოპერისა და ბალეთის თეატრის სცენაზე ავტორის დირიჟორობით. სწორედ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ქართული სამუსიკო კულტურის აღმავლობის დაწყების პერიოდად. კომპოზიტორმა ფუძემდებლური როლი შეასრულა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბებაში, მისი ესთეტიკური პრინციპების და პროგრესული შამართულობის ფორმირებაში. მან შექმნა ქართული ოპერის 3 განსხვავებული ტიპი: მონუმენტური ოპერა - ტრაგედია „აბესალომ და ეთერი“, ლირიულ-დრამატული „დაისი“ და გმირულ-პატრიოტული „ლატავრა“. მას ეკუთვნის უამრავი კლასიკური სახის რომანსი და 1927 წელს შექმნილი ორატორია „საზეიმო კანტატა“ (ამ სტრიქონების ავტორს გრამფირფიტაზე და კომპაქტდისკზე გახმოვანებული აქვს კომპოზიტორის რომანსი „მიყვარდა“).

უდავოა ზაქარია ფალიაშვილმა თავისი გასაოცარი შემოქმედებით ისეთივე კვალი დააჩნია, როგორც გლინკამ, ვებერმა და ლიულიმ თავიანთი ქვეყნის მუსიკალურ კულტურას. გარდა აქტიური საკომპოზიტორო საქმიანობისა, იგი პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა: იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი (1918 წლიდან) და დირექტორი (1919, 1923, 1929-1932 წლებში).

იგი 1933 წლის 6 ოქტომბერს გარდაიცვალა 62 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში. მის ოპერებზე და რომანსებზე ქართველ მომღერალთა არაერთი თაობა აღიზარდა. კომპოზიტორის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი (1937 წლიდან), რესპუბლიკის რამდენიმე სამუსიკო-სასწავლო დაწესებულება, ქუჩები – მოსკოვში, თბილისში, ქუთაისში; თბილისსა და ქუთაისში ფუნციონირებს ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმები; დაწესებულია მისი სახელობის პრემია (1971 წლიდან).

ზაქარია ფალიაშვილის უნიკალური ხელოვნება ქართველი ხალხის უკვდავების საგზლადაა ქცეული. ვიდრე იარსებებს ქართველი ადამიანი, იარსებებს განუმეორებელი, ეროვნული სურნელით გაჟღენთილი მისი, მუსიკალური შედევრები.

გელა ძოძიაშვილი,

ვოკალისტთა, მათ შორის ზაქარია ფალიაშვილის კონკურსის ლაურეატი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

ვაი, ჩვენი ბრალი!!!

„ბელარუსი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, სომხეთი, დნესტრის პირეთი – ყველა ერთ სახელმწიფოში უნდა გავაერთიანოთ!“

მოსკოვში თვლიან, რომ დასავლეთსა და მის მოკავშირეებს პასუხი ახალი სსრკ-ის შექმნით უნდა გაეცეს, რომელშიც რუსეთთან ერთად, ბელარუსი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, სომხეთი, დნესტრისპირეთიც შევლენ. ამის შესახებ ორიოდე დღის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ვიტალი მილონოვმა განაცხადა.

„შეიძლება, ითქვას, რომ აშშ-ს და მის მოკავშირეებს სისხლისღვრის განახლება სურთ, 100%! ისინი გვეუბნებიან: „გაიყვანეთ თქვენი ჯარი, ჩვენ კი აქ გრძელი დანების ღამეს მოვაწყობთო“. საუკეთესო პასუხი აშშ-ისა და მისი მეგობრებისთვის იქნება არა მხოლოდ აღიარება, არამედ გაერთიანების შეთავაზება (სოხუმისა და ცხინვალისთვის) ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს ნიშნად. უნდა შეიქმნას ახალი სსრკ ახალი, უფრო მჭიდრო პრინციპებით. ბელარუსი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, სომხეთი, დნესტრისპირეთი — ყველა ერთ სახელმწიფოში უნდა გავაერთიანოთ, ესაა მომავალი ფორმატი. აი, ასეთი ოპტიმისტური განცხადებით უნდა ვუპასუხოთ აშშ-ს“, — განაცხადა მილონოვმა დასავლეთის ქვეყნების რუსეთისადმი ამასწინანდელი მიმართვის საპასუხოდ, რომელიც საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ჯარის გაყვანისკენ და ამ რეგიონების აღიარების უკან გაწვევისკენ მოწოდებას შეიცავდა.

პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ „აფხაზეთში მცხოვრებთა უმრავლესობა ელის და „იღვიძებს ერთი ოცნებით — გაერთიანდეს მშობლიურ რუსეთთან, რადგან აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში იყო და რეფერენდუმი რომ ჩატარდეს, ისევე, როგორც დონბასში, აფხაზები რუსეთთან მიერთებას დაუჭერენ მხარს“.

„ასევეა სამხრეთ ოსეთიც, ადამიანებს სურთ რუსეთში ყოფნა. ამდენად, აქ (რუსეთისთვის — რედ.) საშიში არაფერია. სანქციები არის, იყო და იქნება, სასანქციო ზეწოლა არ დაიკლებს, მაგრამ ასე ისტორიულ მიწებს მაინც დავიბრუნებთ და ხალხებიც ამოისუნთქებენ. ვფიქრობ, აფხაზეთის საუკეთესო დაცვა სადღეისოდ ჩვენი — რუსული კონტინენტალური რაკეტების განთავსება იქნებოდა, ეს უკვე სამუდამოდ“, — დასძინა დეპუტატმა.

GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: ტექნოლოგიური გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP)

პროექტის განმახორციელებელი: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: P169599
ხელშეკრულების ნომერი: **GE-GITA**-221795-**CS-CQS**

გამარჯვებული მონაწილე:	Plougmann Vingtoft A.S.
ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი:	30 ივლისი, 2021
შერჩევის მეთოდი:	კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული
ხელშეკრულების ღირებულება:	82,166.94 ევრო (გადასახადების ჩათვლით)
ხელშეკრულების ხანგრძლივობა:	4 თვე
ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება:	ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

მკითხველი ულოცავენ!

ვაჟა ნადირაშვილის დიდი ღვაწლი

საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის თავმჯდომარეს, ბატონ ვაჟა ნადირაშვილს მიმდინარე წლის 7 აგვისტოს დაბადებიდან 82 წელი შეუსრულდა.

შთამბეჭდავია ბატონ ვაჟა ნადირაშვილის ღვაწლი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. თავისი დაუღალავი შრომითა და ორგანიზატორული ნიჭით იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროების სისტემაში ენერგეტიკის, სამრეწველო და ჯანდაცვის სფეროს ობიექტების მშენებლობას. ქართველი კაცისადმი დამახასიათებელი დიდი პატრიოტიზმითა და რწმენით განმსჭვავლული, იგი დღესაც აქტიურად არის ჩართული თანამედროვე ცხოვრების ფერხულში. ბატონი ვაჟა დიდი ენოუზიაზმითა და მონდომებით ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. მისი რედაქტორობით გამოიცა რამდენიმე საინფორმაციო-შემეცნებითი წიგნი, ასევე პროფესიულ სფეროში „საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის“ ორტომეული და სქელტანიანი ისტორიული გამოცემა „გვარსახელები საქართველოში“.

ბატონი ვაჟა ნადირაშვილის დიდი მამულიშვილური გრძნობის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ მისი ინიციატივით მშობლიურ სოფელში შენდება ეკლესიის შენობა და წინაპართა სახლობის ადგილას ააშენა საოჯახო სასტუმრო. ბატონი ვაჟა ნადირაშვილის მრავალწლიანი წარმატებული შრომითი საქმიანობისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის დამადასტურებელია, რომ იგი არის ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიული მატიანის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს საგვარეულო კავშირის „გვარი და გვარიშვილობა“ გამგეობის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის „არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს ბატონ ვაჟა ნადირაშვილს დაბადების დღეს და გულრწფელად უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას და მრავალწლიან ბედნიერ სიცოცხლეს თავის საყვარელ მონაგართან ერთად.

ნოდარ მეძმარიაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, დავით გურგენიძე, გიორგი ავსაჯანიშვილი, როლანდ მიქაუტაძე, ანზორ ჩოგოვაძე, დავით დოლონაძე

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზვიადი გუდუა თუზბაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზვიადი გუდუა თუზბაია (პ/ნ 01001091130), ზუგდიდი, შ. რუსთაველის 159

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ქერჩის ქ. №34, სართული 12, ბინა №134 (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.228.01.01.134).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 116506.81 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 10 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 23 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP72847521;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 728475

6. **მოვალე:** ზვიადი გუდუა თუზბაია (პ/ნ 01001091130), ზუგდიდი, შ. რუსთაველის 159.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP72847521; ლოტის ნომერი: 728475).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 23 აგვისტოს 10:00 საათამდე.

◎ მძლეთამძლე

ვულოცავ გოლიათს!

ტოკიოს ოლიმპიადაზე ძალოსან ლაშა ტალახაძის უნიკალური მიღწევის წყალობით, საყოველთაოდ გაბრწყინდა ქართული გენი, მსოფლიოს ყურადღების სივრცეში კიდევ ერთხელ ღირსეულად წარმოჩინდა საქართველო.

ეს გოლიათი უკვე აღიარებულია პლანეტის უღონიერეს ადამიანად. რაც მთავარია, იგი იქცა ფიზიკური და სულიერი ჰარმონიის სრულქმნილ განსახიერებად, სიმბოლოდ ლათინური ფრთიანი ფრაზისა: **„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია!“**

ლაშამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ და მსოფლიოს სპორტის ისტორიაში. გვჯერა, მისი რეკორდები დიდხანს დარჩება მიუწვდომელი. ჭეშმარიტ მართლმადიდებელს და რწმენაში გაძლიერებულს, უფალი კვლავაც მადლმოსილს ატარებს ახალი გამარჯვებებისკენ სავალ გზაზე.

ვულოცავთ ლაშას, ვულოცავთ მწვრთნელებს, ექიმებს, ფედერაციას, ოჯახს, მთელ სპორტულ და სპორტის ქომაგთა სამყაროს.

გურამ სალარაძე,
აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე,
ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი.

◎ ხუთი რგოლი

მადლობა ტოკიოს და „ჯვაროსნებს“

მაშინ, როცა საფეხბურთო სამყაროში ბომბი გასკდა და ლეო მესიმ ლეგენდარული კატალონიური ეპოქა დაასრულა, რაც მის მიერ „ბარსელონაში“ გატარებულ 18 სეზონში ამ ევროპული გრანდისთვის მოხვეჭილ 35(!) ტიტულში გამოისახა, ჩვენ საკუთარი მიღწევა უნდა დავაფასოთ და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ კოვიდპანდემიით გამოწვეულ ფორსმაჟორულ ვითარებაში დამსახურებულ სპორტულ ტრიუმფზე ვისაუბროთ!

დიახ, სურს ეს ვინმეს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ტოკიოს ოლიმპიადაზე მოპოვებული მანამდე მიუწვდომელი – ერთბაშად 8 სარეკორდო მედალი (2 „ოქრო“, 5 „ვერცხლი“, 1 „ბრინჯაო“) და საერთო გუნდურ ჩათვლაში 200-ზე მეტ სახელმწიფოს შორის დაკავებული 33-ე ადგილი, დიახაც, საამაყო მონაგარია და ქართული დელეგაცია თავაწეული დაბრუნდა სამშობლოში, რადგან პირნათლად შეასრულა ტრადიციული სლოგანი – „უკეთ, ვიდრე რიოში“!

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მხოლოდ რუსეთსა და უზბეკეთს ჩამოვრჩით, უკრაინას, ბელარუსს, ბალტიისპირელებს, დანარჩენ შუააზიელებს, აგრეთვე უახლოეს ამერკავკასიელ მეზობლებს კი გავუსწარით. სხვათა შორის, აზერბაიჯანი და სომხეთი ათლეტთა ყველაზე მნიშვნელოვან ფორუმს „ოქროს“ გარეშე გამოეთხოვნენ.

აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ დიდგორში „ძლევაი საკვირველიდან“ 900 წლისთავზე თვით „ისტორიული მეგობარი“ – თურქეთი მოვიტოვეთ უკან ისევე, როგორც საბერძნეთი, ირლანდია, ისრაელი, რუმინეთი, ინდოეთი, სლოვაკეთი, ავსტრია, ეგვიპტე, პორტუგალია, კოლუმბია, მონღოლეთი, არგენტინა, ნიგერია, საუდის არაბეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, მექსიკა, ფინეთი და კიდევ ბევრი სხვა.

ბუნებრივია, „ჯვაროსანთა“ მორიგი წარმატება ყველას როდი გაეხარდა. ასე მაგალითად, ისიც კი გაისმა, სახელოვანმა გორელმა ფალავანმა გენო პეტრიაშვილმა ამერიკელ მეტოქესთან ფინალური ბრძოლა ბოლო წამზე შეგნებულად დათმო, რადგან სტრატეგიულ პარტნიორს ჰაერივით სჭირდებოდა უმაღლესი სინჯის ჯილდო ჩინეთისთვის გასასწრებადო. დიახ, ასეთი ახვრეტიც გვყავს ქართველებს.

მეტი მკრეხელობა არაკაცი თანამემამულისგან, დაგვეთანხმებით, ძნელი მოსაფიქრებელია. მართლაც, როგორ უნდა დააბრალო მსგავსი სიბილწე სამაგალითო პიროვნებას, რომელსაც სიჭაბუკეში გამოვლილი აქვს ოს სეპარატისტთა ორმოში ექვსთვიანი ტყვეობის ჯოჯოხეთი და გამძაფრებულად აღიქვამს ყოველივე ეროვნულს.

საუკეთესო ოცეული

აშშ – 113 (39, 41, 33), ჩინეთი – 88 (38, 32, 18), იაპონია – 58 (27, 14, 17), დიდი ბრიტანეთი – 65 (22, 21, 22), რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი – 71 (20, 28, 23), ავსტრალია – 46 (17, 7, 22), ნიდერლანდები – 36 (10, 12, 14), საფრანგეთი – 33 (10, 12, 11), გერმანია – 37 (10, 11, 16), იტალია – 40 (10, 10, 20), კანადა – 24 (7, 6, 11), ბრაზილია – 21 (7, 6, 8), ახალი ზელანდია – 20 (7, 6, 7), კუბა – 15 (7, 3, 5), უნგრეთი – 20 (6, 7, 7), კორეა – 20 (6, 4, 10), პოლონეთი – 14 (4, 5, 5), ჩეხეთი – 11 (4, 4, 3), კენია – 10 (4, 4, 2), ნორვეგია – 8 (4, 2, 2).

და ბოლოს: თამაშების დაწყებამდე ანალიტიკურმა კომპანია „გრეისნოუთმა“ ასეთი პროგნოზი გააკეთა: საქართველო – ათი მედალი (4-4 „ოქრო-ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“) და 29-ე ადგილი. როგორც ვხედავთ, ცდომილება მინიმალურია. წარმოიდგინეთ, თუნდაც ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ან სულაც სტარტზე სანდრო ბაზაძისთვის ჯიბიდან ამოცლილი გამარჯვებები რომ დაგვრიცხვოდა, რამდენად წინ წავიწევდით.

ცალკე განსჯას მოითხოვს ფსიქოლოგიური პრობლემები, რამაც არაერთი გადამწყვეტი შერკინება წაგვაგებინა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

მოკლედ, ნახვამდის 2024 წელს პარიზში შეხვედრამდე!

◎ ძვიშის ფრენბურთი

„ცაგერი“ უძლეველია

ძვიშის ფრენბურთელ ვაჟთა საქართველოს 2021 წლის ღია პირველობის კვალიფიკაციაში 16 გუნდი მონაწილეობდა. მათგან ორმა ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა, საპრიზო ადგილებისთვის კი 12-მა გუნდმა იბრძოლა. ფინალში ცაგერის მეორე გუნდმა (ალექსანდრე ქაჩიბაია, გიორგი გორდაძე) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს (გიორგი ჯანელიძე, ნიკა მჭედლიძე) სძლია 2:0 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილისთვის პაექრობაშიც ცაგერელებმა იმარჯვეს - მათმა პირველმა გუნდმა (დავით ლიპარტელიანი, მიხეილ გუნიავა) თბილისის „თინეიჯერებს“ (სოსო ლობჟანიძე, რომა გავაშელი) აჯობა 2:1.

შეჯიბრების დასრულების შემდეგ ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად, ქვიშის ფრენბურთში ახალი ასპარეზობა დაიწყო – საქართველოს 2021 წლის ეროვნული ჩემპიონატი ვაჟებსა და ქალებში ორ-ორ ტურად. პირველი ტურის პაექრობები უკვე გაიმართა. მანდილოსნებში გამოვლინდა რვა უძლიერესი, რომლებიც 13-15 აგვისტოს მედლებისთვის იბრძოლებენ. პირველ ტურში ყველას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფრენბურთელებმა აჯობეს - ფინალში მათ ბათუმის პირველი გუნდი დაამარცხეს. მესამე ადგილზე თბილისის „ევროპა“ გავიდა.

მამაკაცებშიც რვა გუნდი იბრძოლებს მედლებისთვის. პირველი ტურის ფინალში „ცაგერმა“ (ალექსანდრე ქაჩიბაია, გიორგი გორდაძე) „სტუ-ს“ (მიხეილ გუნიავა, ალექსანდრე ზაქაიძე) 2:0 მოუგო და ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მე-2 გუნდმა (დანიელ ხეირაბადი, პეტრე ლობჟანიძე) ამავე უმაღლესი სასწავლებლის პირველი გუნდი (გიორგი გოგლიძე, ნიკა მჭედლიძე) 2:0 დაამარცხა. II (ფინალური) ტური 19-22 აგვისტოს გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ ფოკი

ცრემლთა ღაღადი

თითქოს რაღამ უნდა გაგვაკვირვოს ადამიანები ამ ცოდვამადლიან სამყაროში, მაგრამ ლეო მესის ცრემლებმა დაგვარწმუნა, რომ მდიდრებიც ტირიან.

დიახ, ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან და როგორც ყველა ადამიანს, მათაც უჭირთ ხანდახან ემოციებთან გამკლავება, მაგრამ აღნიშნული შემთხვევა მაინც განსაკუთრებულია: ტომით არგენტინელმა, მაგრამ სულით კატალონიელმა „ბარსელონა“ დატოვა და საყვარელ ქალაქს ლეგენდასთან წილნაყარი ბიოგრაფიით დაემშვიდობა.

დაიბადა როსარიოში, ფეხბურთი „ნიუელს ოლდ ბოიზში“ დააჭაშნიკა და გადაბარგდა იქ, სადაც ეპოქა შექმნა, სადაც თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ოჯახში. აკი დაპირდა კიდეც მეამბოხე ესპანური პროვინციის მკვიდრთ – ჩემს ცოლ-შვილს სიტყვას შევუსრულებ და თქვენთან აუცილებლად დავბრუნდებიო.

კი ბატონო, შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ისიც ვიცით, რომ სასწაულები ძნელად თუ მეორდება და ძველ ჯადოქარს სიზმარში თუღა ვიხილავთ. თუმცა, ვინ იცის...

სხვათა შორის, თავის დროზე „კამპ ნოუმ“ მარადონა და კრუიფიც გააცილა, მაგრამ მესი იქაურთათვის ამ თანავარსკვლავედშიც კი შეუდარებელია, რომელიც მომავალ კორიფეებს ისეთ ორიენტირებს უტოვებს, გაუმჯობესებას რომ არ ექვემდებარება.

ბრავო, ლეო!

◎ რეკვიემი

„შენ ჩემი გულის ნაღველი საქვეყნოდ გამოავლინე...“

„შენ ძლიერი ხარ? მეც არ გეგონო სულმთლად უძლური,
უდარდელი ხარ? გადავიღებ შენგან მაგ ჩვევას,
შენ ამაყი ხარ? ეგ თვისება ჩემშიაც კმარა,
სამაგიეროდ, მე გული მაქვს და შენ კი არა“...

გზას, რომელსაც ჩემი ლაშიკო, ჩემი შვილი მთელი ცხოვრება მიუყვებოდა, ვიდრე ზეციურ საქართველოში დაივანებდა, სწორედ უკვდავი ომარ ხაიამის ამ სიტყვებით ალამაზებდა. სწორედ ამგვარად იყო მასში გაჯერებული გულის სიალალე, სიყვარული, კაცობა, ცხოვრების კრედო. იქნებ „ვინმეს“, ან „ვიღაცას“ ყველაფერი ეს შვილმკვდარი, გამწარებული დედის გულის ამონათქვამი ეგონოს, მაგრამ ვინც შენ გიცნობდა, ყველამ იცოდა შენი სიალალის შესახებ, მაგრამ, მხოლოდ მე ვიცოდი შენი ამოუცნობი ბუნება. „სამაგიეროდ, მე გული მაქვს და შენ კი არა“... ახლაც ჩამესმის შენი სიტყვები. რატომღაც ჩვენ ორივემ სიკვდილის წინ გადავუშალეთ ერთმანეთს გული, მე კი საბოლოოდ გამანადგურე.

უკურნებელი სენით დაავადებული ბოლო წუთამდე იბრძოდი და სწორედ ამიტომ იყო შენი გარდაცვალება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის მსგავსი. სიკვდილთან ყველანი დავმარცხდით, ყველანი საშინლად დავმარცხდით და მერე როგორ...

ჯაველიძეების მოსიყვარულე, კეთილ და თითით საჩვენებელ ოჯახში გლოვის ზარები რეკდა. ერთდროულად ებრძოდით სიკვდილს, დაუმარცხებელი სენით დაავადებული მამა-შვილი — ნოდარ და ლაშა ჯაველიძეები. „ისე, როგორც მუხის ტევრებში მუხები — ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარნი ურთიერთს აძლიერებენ, გარშემორტყმულნი უფრო ძლიერნი ხდებიან“, ისე ცდილობდით გვერდიგვერდ მწოლიარე მამა-შვილი დაგემარცხებინათ სიკვდილი, მაგრამ ბედისწერას ვერავინ წაუვა — ერთ დღეს გადასახლდით ზეციურ საქართველოში.

მაშინ, როდესაც მგალობელთა გუნდი „ქრისტეს დატირებას“ გიგალობდათ და თქვენს სულებს გზას უკვალავდა, მაშინ, როდესაც ყველა გოდებდა ირგვლივ, მაშინ, როდესაც ერთ დროს უბედნიერესი ქალი, გაოგნებული და აზრდაკარგული ვიჯექი თქვენს კუბოებთან, შენი ბავშვობის მეგობრების დანახვაზე, აქვითინებული ბიჭების დანახვაზე მოულოდნელად შენს, თქვენს ბავშვობაში გადავსახლდი და ნათლად დავინახე, როგორ დასდევდით ციცინათელებს აჟრიამულები. საიდან წამოტივტივდა მაშინ დაბინდულ გონებაში პოეტის ლექსის სტრიქონები ახლაც არ ვიცი — „აუ, ციცინათელაუ, რარიგ აღმანთე, და გდიე, შორს — შორს, არ შევუშინდი აღმართ-დაღმართებს, გპოვე და ხელში უცებ დანაცრდი, აუ, ციცინათელაუ, აუ, რარიგ დავმარცხდი“... სწორედ ეს სტრიქონები, ამოტივტივდა მაშინ, როგორ დანაცრდი... აწი შენი ბავშვური სიანცით აღარ დანაცრდებიან ციცინათელები, რათა შენ არ დამარცხდე.

ჩემო ლაშიკო, 14 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. ტიციანის პერიფრაზს გავაკეთებ და მოგიძღვნი:

„დავბადებულვარ
აგვისტოს თვეში,
ია-ვარდების ყვავილებიდან,
მაგრამ ვაი რომ სიკეთის
თქეში,
აწ აღარ იდენს შენს
თვალებიდან“...

მეტის თქმა არ შემიძლია გაუბედურებულ დედას. მთელი ცხოვრება უკვე მოგონებებში, შენზე წერილებისა და რეკვიემების წერაში მიდის. ასე ვიქნები, სანამ ერთმანეთს შევხვდებით. დედის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სტრიქონები მიიღე „მწარე მილოცვად“ ყოველ 14 აგვისტოს, დედისა, რომლის ლამაზი უვერტიურა მწარე დაისით დასრულდა.

მაპატიე, ჩემო ნოდარ, რომ ამ ამონათქვამში შენ ვერ მოგეფერე, შენ და ლაშიკო ხომ ერთად შეხვდებით მაგ იუბილეს, თქვენს სიყვარულს, მამაშვილურ სიყვარულს ხომ უკვდავება ჰქვია.

ღმერთს ეგარეგოდეს თქვენი წმინდა სულები.

მერი დიხამინჯია-ჯაველიძე

კიდევ ერთი სასიქადულო პიროვნება დაკარგა საქართველომ, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი და გრაფიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის საპატიო მოქალაქე

დიმიტრი ერისთავი

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს ბატონი დიმიტრის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს მის ოჯახს და კოლეგებს.

თამაზ შილაკაძე



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს ყოფილი ხელმძღვანელი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მთარგმნელობითი კოლეგიის მხატვარი, სხვადასხვა გამომცემლობების მხატვარ-რედაქტორი

გიორგი (გოგი) წერეთელი

მწიგნობართა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ყველა ტალღამ და ზვირთმა შენმა ჩემზე გადაიარა

ძმაო ლაშა, ეს შენს მოსაგონარ და დაბადების დღის მოსალოც წერილზე წამძღვარებული სათაური ცნობილი პუბლიცისტის, ჩვენი მშობლების უახლოესი მეგობრისა და კოლეგის ალეკო ასლანიშვილის იმ წერილის სათაურიდან გადმოვიღე, რომლითაც წლების წინ დაემშვიდობა იგი თავის მეუღლეს, რომელიც ისევე აღესრულა უკურნებელი სენით, როგორც შენ, ჩემო ერთადერთო და უსაყვარლესო ძმაო.

იმ დღეს მთელი სამყარო თავზე დამემხო. როგორი უძლური ვიყავი მაშინ. მენატრები, მესიზმრები და გელოდები, ჩემო დაუდეგარო, მოუსვენარო და დიდგულა ბიჭო.

სწორედ ყველა ტალღამ და ზვირთმა ჩემზე გადაიარა, როდესაც თურქეთში შენ დაგატარებდი, სიკვდილს ვებრძოდით, მაგრამ ყველაფერი მორჩა, უძლურები შევიქენით... და ძმის სიცოცხლისთვის ბრძოლაში დავმარცხდი. დღეს, 14 აგვისტოს, ყოველთვის ის, ბატონი ალეკოს წერილი მახსენდება და, სწორედ ამიტომაც პატივს ვცემ მას დიდი სიყვარულისთვის.

გილოცავ, ძმაო, დაბადების დღეს, მე კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება, „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან მოგეფეროთ შენ და მამას, იმ გაზეთის საშუალებით, სადაც თქვენი კოლეგები იღვწიან, ახსოვხართ და ჩვენთან ერთად იტანენ ამ ტკივილს.

შენ ჩემთვის ყოველთვის „ციურ საყდართან დანთებული სანთელი იქნები“. გილოცავ, ძმაო!

შენი ძმა
პაატა ჯაველიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, გენერალი

თემურ ხევსურიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.

ვებ-გვერდი: **www.geomedi.edu.ge**
ელ.ფოსტა: **info@geomedi.edu.ge**
ტელ.: 2 75 25 20

გლობალური დათბობა კარს მოგვადგა...

უკიდურესი სიცხის ტალღები, რომელიც ადრე 50 წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხდებოდა, გლობალური დათბობის გამო, სავარაუდოდ, ათ წელიწადში ერთხელ მოხდება. ამის შესახებ გაეროს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) ანგარიშშია ნათქვამი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ დედამიწა უკვე განიცდის კლიმატის ცვლილების შედეგებს, რადგან საშუალო ტემპერატურამ 1 გრადუს ცელსიუსს გადააჭარბა. სიცხის ტალღები, გვალვები და ძლიერი წვიმები მხოლოდ უფრო ხშირი და უკიდურესი გახდება. მეცნიერების პროგნოზით, ათწლეულში ერთხელ ძლიერი წვიმები ახლა 1.3-ჯერ უფრო სავარაუდოა და 6.7%-ით უფრო ტენიანი იქნება.

IPCC-ს საშუალო ან მაღალი დონის რწმენა აქვს, რომ მსოფლიოს ბევრ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო რეგიონში უფრო მეტი გვალვა ან ძლიერი წვიმა იქნება. ეს მოიცავს არგენტინის, პარაგვაის, ბოლივიისა და ბრაზილიის ნაწილებს, რომლებიც სოიოს და სხვა გლობალური დონის საქონლის მსხვილი მწარმოებლები არიან. „ეს ანგარიში კაცობრიობისთვის წითელი კოდია. განგაშის ზარები გამაყრუებელია, ხოლო მტკიცებულება უდავოა: სათბურის აირების გამოყოფა წიაღისეული საწვავის წვისა და ტყეების გაჩეხის შედეგად ხუთავს ჩვენს პლანეტას და მილიარდობით ადამიანს უშუალო რისკის ქვეშ აყენებს“, - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: აცრები, აცრები, აცრები, ყველამ უნდა ჩავიტაროთ აცრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მარნეულში „ქართული ოცნების“ მარნეულის მერობის კანდიდატის წარდგენისას მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდა აცრისკენ.

„პანდემიის პირობებში გვიწევს კამპანიის ჩატარება. ჩვენ ახლა მაქსიმალურად მობილიზებულად უნდა ჩავატაროთ ეს არჩევნები, პირბადეებით, ასევე, აცრები, აცრები, აცრები, ყველამ უნდა ჩავიტაროთ აცრა, იმიტომ, რომ აცრა გვიცავს, იცავს ჩვენს მოქალაქეებს, მეგობრებს, ახლობლებს, მშობლებს სიკვდილისგან. ეს არის მთავარი არგუმენტი, რაც ყველამ კარგად უნდა გავიგოთ და ეს უნდა გავითვალისწინოთ.

მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, 3 მილიონზე მეტი დოზა ჩამოიტანა ადგილზე. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც ადამიანს სჭირდება ვაქცინა, რომელიც უმკურნალებს პრობლემას, ეს ვაქცინები ხელმისაწვდომია და გვაქვს. ახლა მთავარია, ძალიან მარტივი აცრა ჩავიტაროთ ყველამ და ნუ შეგვეშინდება, არავითარი რისკი, არავითარი საშიშროება ამას არ ახლავს თან. მითი, ჭორი და ტყუილი ინფორმაციები ვრცელდება სხვადასხვა მედიასაშუალებით. ამიტომ, კიდევ ერთხელ, მე მინდა, რომ მოგიწოდოთ ყველას ვაქცინაციის პროცესში ჩართვისკენ.

ჩვენ ძლიერად უნდა გავიმარჯვოთ არჩევნებზე, უნდა დავასტაბილუროთ ქვეყანა, მომდევნო სამი წელი უნდა იყოს განვითარების წლები. ყველაფერი, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ჩვენი მოქალაქეებისთვის. 2024 წელს კიდევ უფრო ძლიერად უნდა შევხვდეთ საპარლამენტო არჩევნებს, ეს უნდა იყოს ჩვენი ამოცანა, განვითარება, განვითარება, განვითარება და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მდგომარეობა საგანგაშოა

მდგომარეობა არის ნამდვილად საგანგაშო, არ არის მარტივი სიტუაცია, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო, მისი ყველა უწყება და ჯანდაცვის ყველა წარმომადგენელი 24-საათიან რეჟიმში არიან ჩართული პროცესის მართვაში. **„ყველანაირად ვცდილობთ, რომ პროცესს გავუმკლავდეთ. მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო როგორც მედიას, ასევე მოსახლეობას — ჩვენ არ ვართ ყოვლისშემძლეები, ჩვენც გვიჭირს გარკვეული სირთულეების დაძლევა, ჩვენ დამოკიდებული ვართ ჩვენი მოქალაქეების პასუხისმგებლობაზე“,** — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ. ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას თქვა, რომ, ჯერჯერობით, სავალდებულო ვაქცინაციის საკითხი არ განიხილება, თუმცა, არ გამორიცხავს, გარკვეული სეგმენტის იმუნიზაცია სავალდებულო გახდეს.

რეგულაციები მკაცრდება

ღია სივრცეში, სადაც ხუთზე მეტი ადამიანი შეიკრიბება, პირბადის ტარება დღეიდან კვლავ სავალდებულო ხდება. გადაწყვეტილება საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდვითარების გათვალისწინებით მიიღო.

22 ივნისის შემდეგ გარე სივრცეებში, პირბადეების ტარება სავალდებულო არ იყო. თუმცა დახურულ სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ტრანსპორტის გაჩერებებზე ეს შეზღუდვა კვლავ ძალაში დარჩა. საბჭოზე ასევე ცნობილი გახდა, რომ სოციალურ ღონისძიებებზე დაწესებული რეგულაციების აღსრულება გამკაცრდება. მთავრობის დადგენილებით აკრძალულია ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვა, როგორიცაა ქორწილი, ქელეხი, იუბილე თუ სხვა. კვების ობიექტებს კი ფუნქციონირება 00 საათიდან დილის 5 საათამდე ეკრძალებათ.

* * *

შეზღუდვების კონტროლის გამკაცრების საპასუხოდ, შრომის ინსპექციის სამსახური ზედამხედველობას აძლიერებს. ინსპექტორთა ჯგუფები დაწესებული შეზღუდვების აღსრულებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვა ზედამხედველ უწყებებთან კოორდინაციით უზრუნველყოფენ. ოპერირება ყველა რეგიონულ ცენტრში განხორციელდება. სექტორული რეკომენდაციების დაცვასთან ერთად, ძირითადი აქცენტი აკრძალული ღონისძიებების ორგანიზებაზე გაკეთდება. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდება.

ფიზიკურ პირს 2 000-ლარიანი, ხოლო იურიდიულ პირს 10 000 ლარის ოდენობის სანქცია დაეკისრება. დარღვევა ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც. კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ობიექტი დაილუქება.

პრეზიდენტი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო ყველა მასშტაბურ შეხვედრას აუქმებს

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, საქართველოს პრეზიდენტი მასშტაბურ ღონისძიებებში მონაწილეობას არ მიიღებს.

მათივე ინფორმაციით, პრეზიდენტი აუქმებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაგეგმილ ყველა მასშტაბურ შეხვედრას.

შეღავათები რესტორნებში — აცრილებისთვის

შოთა ბურჯანაძის განცხადებით, მის საკუთრებაში არსებულ რესტორნებში ვაქცინირებული ადამიანები მომსახურებაზე ფასდაკლებას მიიღებენ, ხოლო თანამშრომლები — დანამატებს.

როგორც ბურჯანაძე განმარტავს, რესტორანში შესვლისას ადამიანმა აცრის საბუთი უნდა აჩვენოს. რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელი ამბობს, რომ ინიციატივაში სხვა რესტორნების ჩართულობის მხრივ მუშაობა მიმდინარეობს.

ამერიკელი სამხედროებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო იქნება



პენტაგონი, შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი, გეგმავს ამერიკელი სამხედროებითვის კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია სავალდებულო გახადოს.

ამერიკის შეიარაღებული ძალების თითოეული თანამშრომელი 15 სექტემბრამდე უნდა აიცრას. **„მივმართავ პრეზიდენტს, რათა მოვიპოვო ნებართვა სექტემბრის შუა რიცხვებამდე სამხედროებისთვის სავალდებულო ვაქცინაციისთვის“,** — წერს მდივანი ოსტინი მოხსენებით ბარათში, სადაც იგი მიმართავს მისდამი დაქვემდებარებულ ძალებს, მოემზადონ აცრისთვის.

თავდაცვის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, მილიონზე მეტი სამხედრო მოსამსახურე უკვე სრულად ვაქცინირებულია, სულ მცირე 237 ათასმა მოსამსახურემ კი ვაქცინის მინიმუმ ერთი დოზა მიიღო. საზღვაო ძალების თანახმად, აქტიური მეზღვაურებისა და რეზერვისტების 74%-ს მიღებული აქვს მინიმუმ ერთი დოზა. საჰაერო ძალების თანამშრომელთა 65%-ზე მეტი ასევე აცრილია მინიმუმ ერთი დოზით. შეერთებული შტატების არმიაში აცრილთა რაოდენობა დაახლოებით 50%-ს შეადგენს.

ორჯერ აცრა მაინც შველის

ჩეხეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში ორჯერ აცრილი ხუთი მილიონი ადამიანიდან ვირუსი მხოლოდ 4500-ს დაუდასტურდა.

ჩეხეთში ვაქცინაციის კურსი დასრულებულად ორივე დოზის გაკეთებიდან ორი კვირის შემდეგ ითვლება. **„ინფიცირებულთა 75 პროცენტი ვაქცინირებული არ არის“,** — განაცხადა ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლადისლავ დუშეკმა. ჩეხეთის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ახალი შემთხვევების უმეტესობა ახალგაზრდებზე მოდის. ივლისში ჩეხეთში „კოვიდ-19“-ით 14 ადამიანი დაიღუპა, მათგან ათი ვაქცინირებული არ იყო.

ყალბი „მწვანე საშვები“

იტალიაში პოლიციამ ქსელი გამოავლინა, რომელიც ყალბ ე.წ. „მწვანე საშვებს“ ყიდდა.

იტალიაში 5 აგვისტოდან სტადიონებზე, მუზეუმებში, თეატრებში, კინოთეატრებში, საგამოფენო ცენტრებსა და სპორტდარბაზებში შესვლა მხოლოდ ე.წ. „მწვანე საშვის“ წარდგენის შემთხვევაში ხდება. აღნიშნული დოკუმენტი ასევე საჭიროა დახურული ტიპის რესტორნებში მომსახურების მისაღებად. **„ათასობით მომხმარებელი ცნობილ საკომუნიკაციო პლატფორმებზე დარეგისტრირდა, სადაც ყალბი „მწვანე საშვები“ იყიდებოდა, ანონიმურობის აბსოლუტური გარანტიით. გადახდა კრიპტოვალუტით ან ონლაინ ვაჭრობის პლატფორმების ვაუჩერებით ხდებოდა. ყალბი „მწვანე საშვის“ ფასი 150-500 ევროს შეადგენდა“,** — განაცხადეს იტალიის პოლიციაში. ე.წ. „მწვანე საშვი“ აჩვენებს, რომ მის მფლობელს ვაქცინის, სულ მცირე, ერთი დოზა აქვს მიღებული, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, კორონავირუსისგან გამოჯანმრთელდა ან ფლობს არაუგვიანეს 48 საათის წინ გაკეთებული ტესტის უარყოფით პასუხს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1050; ევრო - 3.6293;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3113;
100 რუბლი - 4.2270; თურქული ლირა - 0.3586;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8260;
1000 სომხური დრამი - 6.3252.

ამინდი 11 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +19, დღე +38
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +34
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +17, დღე +33
თბილისი: ღამე +21, დღე +37

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge